პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე 3 სართული
მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე 2 სართული ტელეფ. 5—43

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100.000 მ. ქ. ბ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 625 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადები—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

№ 288 პარასკევი, 15 დეკემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 288

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

განიარაღების კონფერენცია უშედეგოთ დამთავრდა.

ლონდონის კონფერენცია დამთავრდა. 2 იანვრიდან მოლაპარაკება განახლდება პარიზში.

შტუტგარდტში მოხდა შეტაკებები მუშებსა და ბავარიელ ნაციონალისტებს შორის.

ვარშავაში მღელვარებაა ახალი პრეზიდენტის არჩევის გამო.

მოსკოვის კონფერენციის დამარცხება

მოსკოვში მიმდინარე განიარაღების კონფერენცია უშედეგოთ დამთავრდა. ორი კვირის მოლაპარაკებამ და მუშაობამ არავითარი ნაყოფი არ გამოიღო.

საბჭოთა მთავრობის ინიციატივით იყო ეს კონფერენცია მოწვეული, და ეს მთავრობა წარსდგა მაზე გულწრფელი განზრახვით შეემსუბუქებინა მილიტარიზმის სიმძიმე როგორც რუსეთის, ისე მის მეზობლად მყოფ ქვეყნების მშრომელ მასსებისათვის.

რა თქმა უნდა, საბჭოთა მთავრობა არ დაკმაყოფილდა ზოგადი დეკლარაციებით. მან კონფერენციაზე უაღრესად კონკრეტიული წინადადები წამოაყენა, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობდა ორივე მხარის შორის ნამდვილად მეზობლურ, მშვიდობიან ურთიერთობის ჩამოგდებას და მომლაპარაკებელ სახელმწიფოთა შერყეულ ეკონომიურ ფინანსიურ ცხოვრების გაუმჯობესებას.

რუსეთის წინადადებები ასეთია: შეიარაღებულ ძალის შემცირება ერთი მეოთხედით; სამხედრო ბიუჯეტის მაქსიმალურ რაოდენობის სასტიკად განსაზღვრა; არარეგულიარულ სამხედრო ფორმაციების ლიკვიდაცია და საზღვრებზე ნეიტრალურ ზონების შექმნა.

აი ის ზომები, რომელთა გატარება შექმნიდა ისეთ ფაქტიურ მდგომარეობას, როცა მომავალში შეიარაღებული კონფლიქტები აღნიშნულ ქვეყნებ შორის ნაკლებად იქნებოდა შესაძლებელი.

რა პოზიცია დაიკავეს მოსაზღვრე ქვეყნების დელეგატებმა? იმ მომენტიდან, როცა საბჭოთა მთავრობამ პირველად მისცა მათ წინადადება კონფერენციის მოწვევის (14 ივნისი), ცხადი იყო, რომ არ სურდათ განიარაღების საკითხის გადაჭრა. ამიტომაც იყო, რომ ისინი ყოველ საშუალებით ხელს უშლიდნენ კონფერენციის მოწვევას. შემდეგ, როცა, საბჭოთა მთავრობის დაჟინებითი მოთხოვნილების გამო, შეუძლებელი შეიქნა კონფერენციაში მონაწილეობაზე უარის თქმა, ვინაიდინ ეს საბოლოოდ გააშიშვლებდა მათ იმპერიალისტურ ბუნებას მშრომელ მასსების წინაშე,—და ის გაიხსნა. მოსაზღვრე ქვეყნების დელეგატებმა მოიწადინეს მისი მუშაობის საიდუმლოებით მოცვა; მათ უარყვეს დღისწეს რიგში დასმულ საკითხების საჯაროდ განხილვა კონფერენციის პლენუმზე, ამისათვის არჩიეს კონფერენციის მცირე რიცხოვანი ბიურო, რათა ფართე მასსისათვის მათი გამოსვლები მისაწვდომი არ გამხდარიყო.

და ეს უკვე მაჩვენებელი იყო, რომ მათ არ სურდათ კონკრეტულად და სერიოზულად განიარაღების პრობლემასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიღება და გატარება.

ამ დელეგაციებმა მოიწადინეს გვერდის ავლა ამხ. ლიტვინოვის მიერ წამოყენებულ და ზემოდ ჩამოთვლილ წინადადებაზე და დაიწყეს ლაპარაკი „განიარაღების განხორციელების წინასწარ პირობებზე"—როგორიცაა: „მორალური" განიარაღება და ურთიერთი ნდობის მოპოვება, ხელშეკრულება საზღვრების ხელშეუხებლობაზე, არბიტრაჟი სადავო საკითხების გადასაჭრელად.

რა თქმა უნდა, რუსეთის დელეგაცია თანახმა იყო მოთხოვნების მიღებაზე. მაგრამ, ცხადია, რომ ეს იქნებოდა უბრალო დეკლარაცია და ქაღალდის ნაგლეჯი, თუ მათ შესაფერი რეალური გამოხატულება არ მოყვებოდა. ეს კი არის მატერიალური განიარაღება და სხვა მოთხოვნები, რომელიც რუსეთის დელეგაციამ წამოაყენა. სწორედ მათი მიღება და ცხოვრებაში გატარება დაამტკიცებდა კონფერენციაში მონაწილე ქვეყნების ურთიერთ ნდობას, „მორალურ" განიარაღებას, არბიტრაჟის და ერთმანეთზე დაუცემლობის ღირებულებას. მაგრამ როცა პირდაპირ და კონკრეტულად დაისვა კითხვა შეიარაღებულ ძალის შემცირებაზე, მოსაზღვრე სახელმწიფოების დელეგატებმა ამაზე აშკარა უარი განაცხადეს.

ამავე დროს ეს ქვეყნები წელში იზნიქებიან დიდძალ ჯარების შენახვის გამო. აი ციფრები: ფინეთს.—3.364.000 მოსახლეობით ყავს 33.000 ჯარის-კაცი; ესტონიას—1.200.000 მოსახლობით—14.000; ლატვიას—1.850.000 მცხ.—19.400; პოლონეთს—27.256.000 მცხ.—ინახავს—320.000 ჯ.-კ.; რუმინია—17.193.000 მოსახ.—250.000 ჯ.-კ. მაშინ როცა საბჭოთა რუსეთს მისი 130.000.000 მცხოვრებით და თვალ უწვდენელი გეოგრაფიული სივრცით ყავს მხოლოდ 800.000 წითელ-არმიელი. ამგვარად, რუსეთის არმია, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით დაახლოვებით ორ ჯერ ნაკლებია, ვინემ მეზობელ ქვეყნების არმიები. და ეს კიდევ იმ დროს, როცა საბჭოთა რუსეთი გარშემორტყმულია უთვალავი მტრებით. მიუხედავად ამისა, საბჭოთა მთავრობა მზად იყო ეს ჯარიც შეემცირებინა ერთი მეოთხედით და დაეყვანა მისი რიცხვი 200.000-მდე. ამას მოითხოვს ქვეყნის მეურნეობის აღორძინება და მშრომელ ხალხის ზურგიდან ჯარის შესანახი ხარჯის ნაწილის მაინც მოხსნა. ეს ნაბიჯი აგრეთვე ნაკარნახევია მეზობელ ქვეყნებთან მშვიდობიან ურთიერთობის განმტკიცების და მათი მშრომელ მასებზე წამოკიდებულ მილიტარიზმის მძიმე ტვირთის შემსუბუქების სურვილით.

მაგრამ საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო ცდა ეხლაც წააწყდა მოსაზღვრე ქვეყნების წინააღმდეგობას, რამაც უნაყოფოდ გახადა მოსკოვის კონფერენციის მუშაობა.

ჩვენ იმ თავითვე არ ვძლეოდით ილუზიებს და მაინც და მაინც დიდ იმედებს არ ვამყარებდით ამ კონფერენციაზე, რადგან ვიცით, რომ მოსაზღვრე ქვეყნებში და მთელ მსოფლიოში არსებულ სოციალურ-ეკონომიურ რეჟიმის დროს ოცნებაა ხალხებ შორის ნამდვილად ნორმალური ურთიერთობის დამყარება. მაგრამ დღევანდელ პირობებშიც შესაძლებელი იყო ნაწილობრივი განიარაღება და შედარებით მშვიდობიანი დამოკიდებულების ჩამოგდება, რომლის სურვილი გამოიჩინა მეორე მხარეს. ეს სურვილი—მას არ აღმოაჩნდა და თავის აგრესიული პოლიტიკის დაკარგვა მოიწადინა ზოგადი დეკლარაციებით.

მშრომელი მასსები მაინც კარგად დაინახავენ, თუ ვინ ჩაშალა კონფერენცია, ვინ იყო წინააღმდეგი შეიარაღების შემცირების და მშვიდობიანობის. რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნების მუშათა კლასი მიხვდება, რომ სწორედ მათი მთავრობების პოლიტიკის წყალობით მოხდა ეს, და აქედან ის შესაფერ დასკვნას გააკეთებს. სათანადო დასკვნის გააკეთებს რუსეთის წითელი არმიაც, რომელიც აწიც, როგორც დღემდე, ფხიზლად იდგომება საბჭოთა მიწა-წყალის სადარაჯოზე.

პრესა

საერთაშორისო რეაქცია.

იტალიაში სახელმწიფოებრივი გადატრიალების შემდეგ, მუსოლინიმ განუცხადა პირველი აუდიენციის დროს მეფეს შემდეგი: „ბოდიშს ვიხდი, რომ თქვენთან გამოვცხადდი არა სრულიად სააღლუმო ტანისამოსში, რადგან მოვედი პირდაპირ ბრძოლის ველიდან. მე მოგიტანე თქვენ უდიდებულესობას ახალი იტალია, იტალია ფაშისტების"-ო.

„იტალია ფაშისტების" ეს არის გაშიშვლებული რეაქცია იტალიის მემამულეების და კაპიტალისტების ე. ი. იმ ძალების, რომლებიც პროლეტარული დემოკრატიის წინააღმდეგ შეტევაზეა გადასული დღეს მთელ მსოფლიოში. იტალიის ამბები ერთი უაღრესად დამახასიათებელი დემონსტრაცია არის ლეგალიზმისა და პარლამენტარიზმის კულტის დამარცხების, იმ კულტის, რომელსაც გუნდრუკს უკმევენ გაბატონებული კლასები დაჩაგრულების შესახედვათ და მოსატყუებლათ.

„იტალიის ბურჟუაზიამ—სწერს ამის შესახებ მოსკოვის „პრავდა"—გულახდილათ სთქვა, რომ ის სცნობს მოძველებულათ სახელმწიფოს ძველ ფორმას, რომელიც შეიქმნა კაპიტალიზმის განვითარების მშვიდობიან პერიოდში. მან სთქვა რომ იმ პერიოდში, როდესაც სწარმოებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა პროლეტარიატთან, მას ესაჭიროება სხვა ფორმები ამ ბრძოლის საწარმოებლათ".

მაგრამ ბრძოლის ეს მეთოდები დამახასიათებელია არა მარტო იტალიისათვის.

„პირიქით, იტალიაში მხოლოთ უფრო მკვეთრათ და ცინიკური სიაშკარავით ხდება ის, რაც დამახასიათებელია მთელი ბურჟუაზიული ევროპისათვის. ყოველგან, სადაც კაპიტალისტები გადადიან გაცოფებულ შეტევაზე მის წინააღმდეგ, ისინი არ კმაყოფილდებიან ბრძოლის ძველი მეთოდებით და სახელმწიფოებრივი აპარატის გვერდით ჰქმნიან ისეთი ტიპის ორგანიზაციებს, როგორიც არის ფაშისტების და რომლებიც საშუალებას მისცემს მათ ყელში სწვდნენ მუშებს და დაამსხვრიონ მათი ორგანიზაციები".

როგორია ეკონომიური საფუძველი კაპიტალისტური რეაქციის ევროპაში?

„თანამედროვე ევროპის მრეწველობა ძალიან ძირს დაეცა იმ დონესთან შედარებით, რომელზეც იდგა ის ომამდე. ნაციონალური შემოსავალი ევროპის ყველა ქვეყნების ფრიად შემცირდა, გაიფლანგა საშინლათ ძირითადი კაპიტალი ევროპის მრეწველობის, გაიზარდა ევროპის ეკონომიური დამოკიდებულება ამერიკისაგან, რომელმაც მოუსპო ევროპას ბაზარი და ნედლი მასალის წყაროები. ასეთ პირობებში კაპიტალისტური მეთოდებით მრეწველობის აღდგენას ბურჟუაზია შესძლებს მხოლოთ მუშათა კლასის უზომო ექსპლოატაციით და იმ მონაპოვართა წართმევით, რომელსაც მან მიაღწია ომამდი კაპიტალიზმის „მშვიდობიან" არსებობის დროს. ამასთან ერთათ, მუშათა კლასის წინააღმდეგ შეტევაში ბურჟუაზიის დამხმარეთ გამოდის კულაკური ელემენტები სოფლის, იმ ბურჟუაზიული სოფლის, რომლის შედარებითი მნიშვნელობა ევროპის ქვეყნების ეკონომიკაში არა ჩვეულებრივათ გაიზარდა ომის დროს და მრეწველობის გაფურჩქვნის პირობებში... ევროპის ბურჟუაზიამ დაისახა მიზნათ გაანადგუროს პროლეტარიატის ორგანიზაციები, ამ გზით შეუდგეს მრეწველობის აღდგენას და ამ შემთხვევაში ის კიდევ შეინარჩუნებს ძალაუფლებას გარკვეულ ისტორიული პერიოდის მანძილზე ან და ასეთი ცდა დამარცხდება და მასთან ერთათ ბოლო მოეღება მის ბატონობასაც".

როგორი იქნება შედეგი ამ ცდის დამოკიდებულია საბოლოოთ მუშათა კლასის ორგანიზაციის სიმტკიცისა და მისი ბრძოლის უნარისაგან. ცხადია ასეთ პირობებში თუ როგორ მნიშვნელობას იძენს ერთიანი ფრონტის ლოზუნგი, რომელსაც ატარებს დღეს კომინტერნი.

* * *

უმუშევართა არტელები.

უმუშევრობის ზრდა აყენებს კითხვას მასთან ბრძოლის საშუალებების გამონახვის შესახებ და ერთ თავსატეხ საგნათ არის გადაქცეული სახელმწიფოსათვის. სოციალური დაზღვევის ფონდების სიმცირის გამო საჭირო ხდება სხვა გამოსავლის გამონახვა. ერთ-ერთ ასეთ საშუალებათ მიჩნეულია უმუშევართა შრომის გამოყენება და ამ მიზნით უმუშევართა არტელების მოწყობა. როგორია ასეთი არტელების ორგანიზაციის პრინციპი? ამ საჭირბოროტო კითხვას არჩევს გაზ. „ტრუდ". ის სწერს:

„ასეთი არტელები შეიძლება იყვნენ ორი ტიპის: შრომის არტელი, რომლის მიზანია შრომის უშუალოთ გამოყენება (მტვირთავები, სახლების, ქუჩების, რკინის გზების და სხვ. მწმენდავები) და წარმოებითი, რომელიც ისახავს მიზნათ წარმოების მოწყობას და მისი პროდუქტების გასაღებას ბაზარაზე (ხეზე მომუშავენი, მექანიკური წარმოების, მკერავები და სხვ.) პირველი ტიპის არტელების მოსაწყობათ საჭირო არ არის დიდი თანხები, მეორეთათვის კი აუცილებელია დიდი სახსარი, ორგანიზაციული ძალები და მასთან სიცოცხლის უნარიც დიდი არა აქვთ".

მათი მოწყობის ინიციატივა ეკუთვნის შრომის ბირჟებს, პროფ-კავშირებს, რომლებიც არ იღებენ თავზე იმავე დროს სამეურნეო ფუნქციებს და საზღვრავენ თავის როლს საერთო ხელმძღვანელობითა და თვალყურის დევნით. ამასთანავე საჭიროა, რომ ასეთმა დაწესებულებამ ფილანტროპიული ხასიათი არ მიიღოს.

ცხადია ეს არის ერთი ზომათაგანი საბრძოლველათ უმუშევრობის წინააღმდეგ, რომელიც შეიძლება შესუსტდეს ჩვენს პირობებში მხოლოთ წარმოების განვითარებით.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობა

ბაქო. 12 დეკემბ. 12 დეკემბერს დილის სხდომაზე სწარმოებდა კამათი ამხ. ორჯონიკიძის მოხსენების შესახებ, რომელიც შეეხებოდა ამიერ-კავკასიის საკითხს.

ფედერალისტმა ღლონტმა განაცხადა, რომ მემარცხენე ფედერალისტებს წარმოდგენილი აქვთ ყველა საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაცია, რომელსაც ცენტრი ექნება მოსკოვში. ამ განცხადებამ გამოიწვია მთელი რიგი ორატორების სასტიკი კრიტიკა. ამხ. ორჯონიკიძემ თავის საბოლოო სიტყვაში სთქვა, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაცია იქნება ორგანო, რომელშიაც გაერთიანებული იქნებიან ამიერ-კავკასიის ყველა ერები. ეს საკმარისია იმისათვის, რომ ვაღიაროთ ამიერ-კავკასიის ფედერაციის არსებობის აუცილებლობა.

ამიერ-კავკასიის მშრომელებს შეძლება ექნებათ განავითარონ თავიანთი მრეწველობა და სასოფლო-მეურნეობა.

ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება მოწონებულ იქნა ყრილობის მიერ და გადაეცა ყველა მასალებით საკონსტიტუციო კომისიას.

დიდი ენტუზიაზმით შეხვდა ყრილობა ამიერ-კავკასიის ცალკე არმიის უფროსის ამხ. ეგოროვის მოხსენებას წითელი არმიისა და ფლოტის შესახებ. ყრილობამ აღნიშნა წითელი არმიისა და ფლოტის დიადი ღვაწლი საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და ამიერ-კავკასიის მშრომელთა შორის მუდმივი ძმური სოლიდარობის დამყარების საქმეში. ყრილობამ მიაქცია ყველა საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღება იმას, რომ აუცილებელია მიექცეს დიდი ყურადღება წითელ-არმიელებს და წითელ მეზღვაურებს. ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასკომთან მოეწყობა შეფების ბიურო.

ამხ. ბუნიატ-ზადე გამოვიდა მოხსენებით ამიერ-კავკასიის ბამბის მოშენების მდგომარეობის შესახებ. ყრილობამ დაავალა ამიერ-კავკასიის მომავალ ცენტრალურ აღმასკომს მიიღოს ყოველივე ზომები ამიერ-კავკასიაში ბამბის მოშენების განვითარებისათვის ამიერ-კავკასიის მთლიანი ბამბის კომიტეტის დაარსების გზით.

საღამოს სხდომაზე მოისმინეს მოხსენებები ამხ. **სერებროვსკის**—ნავთის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ და ამხ. ბაგტატიევის მღლანის სამილიორაციო-საალმშენებლო განყოფილების მუშაობის შესახებ.

ყრილობას განუწყვეტლივ მოსდის მისალმებანი მშრომელებისაგან, რომლებიც მოითხოვენ ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნას, რაც განამტკიცებს მჭიდრო მშვიდობიანობას ერებს შორის.

მდგომარეობა პოლონეთში

მოსკოვი. 13 დეკემბ. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულია გარეშე საქმეთა მინისტრი ნარუტოვიჩი.—რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შედეგები პოლონეთის სახალხო კრებაზე მოსმენილ იქნა სამარისებური სიჩუმით. არჩევნებში დამარცხებით გაბრაზებულმა მემარჯვენეებმა მოაწყვეს დემონსტრაცია შემდეგი ლოზუნგით: „ძირს ნარუტოვიჩი, ებრაელების კანდიდატი".

მოსკოვი. 14 დეკემბ. ვარშავაში ნარუტოვიჩის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევის გამო გაიმართა მიტინგი, რომელმაც მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვენ ნარუტოვიჩის მიერ უარის თქმას პრეზიდენტობაზე და შეურიგებელ ბრძოლას ებრაელებთან.

11 დეკემბერს დილის ათ საათზე სეიმის მახლობლად შეიკრიბა მრავალ რიცხოვანი ბრბო, რომელსაც განზრახული ჰქონდა არ შეეშვა სეიმში ნარუტოვიჩი. სეიმიდან გამოსულ რამოდენიმე მემარცხენე დეპუტატს ბრბომ შეუბრალებლად სცემა. მიმავალ ავტომობილებს და ეტლებს აჩერებდნენ, სინჯავდნენ მგზავრების დოკუმენტებს, სცემდენ ყველას, რომელთაც ცოტათი ეჩვენოდათ ებრაელობა.

პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ მოაწყო მანიფესტაცია შემდეგი ლოზუნგით: „ძირს პოლონეთის ფაშიზმი". ახალგაზრდობის საპროტესტო მიტინგზე, რომელიც გაიმართა ნარუტოვიჩის არჩევის საწინააღმდეგოდ, ესდეკი ორატორები მოუწოდებდენ ახალგაზრდობას, რათა დაეცვათ სამშობლო ებრაელების ძალადობისაგან.

მიტინგის მონაწილენი დემონსტრაციით გაემართენ გენერალ გალერის სახლისაკენ, სცემდენ გზაში მიმავალ ებრაელებს.

ნარუტოვიჩის სახლის ფანჯრებთან დემონსტრანტებმა მორთეს კატისებური კნავილი. ვარშავის ქუჩებში მთელი დღის განმავლობაში დადიოდენ გაძლიერებული პატრულები. გამოუშვეს ფურცლები შემდეგი სათაურებით: „შეთქმულება სახელმწიფოს უფროსის წინააღმდეგ", „ებრაელების მუშაობა", „ხუთი ყუმბარა". ამ პროვოკაციული ფურცლებით გაძლიერდა განწყობილება დარბევისაკენ.

მარჯვენით აჯანყების წინააღმდეგ.

ჰანოვერი. 14 დეკემბ. ვარშავაში, მარჯვნიდან მოსალოდნელ აჯანყების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, გამოცხადებულია 24 საათის გაფიცვა. წესრიგი არ დარღვეულა.

მომხდარ ამბების გამო.

ჰანოვერი. 14 დეკემბერი. მომხდარი ამბების გამო პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრი გადადგა, გადადგა და პასუხისგებაში იქნა მიცემული აგრეთვე პოლონეთის მილიციის უფროსი.

რადიო-დეპეშები

ამიერ-კავკასიის ესერების პროცესი

განაჩენის დამტკიცება.

ბაქო, 13 დეკემბ. აზერბეიჯანის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტის პრეზიდიუმმა, განიხილა რა უმაღლეს რევტრიბუნალის განაჩენი ამიერ-კავკასიის ესერების საქმის შესახებ დაამტკიცა იგი, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცე შეუცვალა სიკვდილით დასჯა ხაიტვს, პლეტნიოვს, გოლომაზოვს, კლიმაკოვს და ივანოვს ციხეში დაპატიმრებით 8 წლით თვითეულს.

კონფერენცია განიარაღების შესახებ

მოსკოვი. 14 დეკ. განიარაღების კონფერენციის 11 დეკემბრის სხდომაზე ლიტვინოვმა დაუყენა რა 4 დელეგაციის დეკლარაციას, რომელიც არის კონფერენციის უკანდახევის ფაქტი, წინადადება შეიტანა მოწვეულ იქნეს პლენალური საჯარო სხდომა კონფერენციის ბედის საბოლოოდ გამოსარკვევად. საზღვარგარეთის დელეგაციების თავმჯდომარეებმა უარყვეს ლიტვინოვის წინადადება.

სხვადასხვა დელეგაციების დეკლარაციათა გამოქვეყნების შემდეგ ლიტვინოვმა ხელმეორეთ შეიტანა წინადადება კონფერენციის მუშაობის განგრძობის შესახებ, რაზედაც უარყოფითი პასუხი მიიღო უცხოეთის დელეგაციებისაგან. ლიტვინოვს მეტი გზა აღარ დარჩენოდა გარდა იმისა, რომ აღენიშნა კონფერენციის უშედეგოთ დამთავრება და მთელი პასუხისმგებლობა პოლონეთის, ესტონეთის, ფინეთის და ლატვიის დელეგაციებზე დაკისრება.

— ჟურნალისტებთან ინტერვიუს დროს ლიტვინოვმა კონფერენციის უშედეგოთ დამთავრების გამო განაცხადა: „საბჭოთა რუსეთს, იწვევდა რა იგი განიარაღების კონფერენციას, ქონდა სერიოზული განზრახვა. მას არ სურდა ლამაზი ჟესტით დაკმაყოფილება. მიუხედავათ იმ არა სასიამოვნო ფაქტებისა, რომელსაც ადგილი ქონდა დასავლეთის სახელმწიფოების მხრივ და მიუხედავათ ჩვენი აღმოსავლეთის საზღვრების საშიშროებისა, რუსეთმა შეამცირა არმია 800,000 კაციდან და წინადადება შეიტანა ამ არმიის 200,000 კაცამდე შემცირების შესახებ.

საბჭოთა რუსეთი ფიქრობდა, რომ დასავლეთის მეზობლები მხარს დაუჭერდენ მას და დასთანხმდებოდენ არმიის და შეიარაღების შემცირებაზე. ამაზე მათ უარი განაცხადეს. ჩვენ წამოვაყენეთ მთელი რიგი წინადადებათა განიარაღების საკითხის გამო, მათ კი მთელი კონფერენციის მუშაობა უნდოდათ შემოეფარგლათ თავდასხმისაგან თავის შეკავების საკითხით.

ისინი ფიქრობდენ ამით მოეტყუებიათ თავიანთი ხალხი. მაგრამ ეს მათ ვერ მოახერხეს. კონფერენციამ დაუმტკიცა მთელ მსოფლიოს, რომ ჩვენ წითელ არმიას არავითარი აგრესიული განზრახვები არ აქვს. კონფერენცია გაამართლებს თავის დანიშნულებას, თუ ერები დარწმუნდებიან რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობის მშვიდობიანობის მოყვარეობაში.

ლოზანის კონფერენცია

ეროვნულ უმცირესობათა დაცვა.

პარიზი. 13 დეკ. პირველ კომისიის სხდომაზე ლორდ კერზონის თავმჯდომარეობით განხილულ იქნა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის საკითხი. კერზონმა დაჟინებით მოითხოვა საზავო ხელშეკრულებაში განსაკუთრებული მუხლის შეტანა, რომელიც დაცული იქნება ოსმალეთში ქრისტიანების და ევროპაში ოსმალელ უმცირესობათა უფლებები. ბარერმა, გარონმა და ვენიზელოსმა მოიწონეს ეს წინადადება.

ისმეთ-ფაშამ განაცხადა, რომ ეროვნულ უმცირესობათა საკითხი გადაწყვეტილი იქნება, თუ ოსმალეთის შინაურ საქმეებში გარეშედან ჩარევას არ ექნა ადგილი და თუ ოსმალეთის და ბერძნების მოსახლეობანი გადაცვლილი იქნება. ლორდ კერზონმა გამოსთქვა უკმაყოფილება ოსმალეთის წარმომადგენლის მიერ ასეთი პასუხის გამო.

— ამერიკის წარმომადგენელმა ჩაილდმა განაცხადა, რომ შეერთებულ შტატების მთავრობა უდიდეს ინტერეს იჩენს ამ საკითხისადმი.

სრუტეების საკითხის დაყოფა.

ჰანოვერი. 14 დეკ. რუსეთის დელეგაციამ ლოზანაში კონფერენციის თავმჯდომარეს გადასცა საპროტესტო ნოტა იმის გამო, რომ მოკავშირეთა ექსპერტების ახალი პროექტით საკითხი სრუტეების შესახებ გაყოფილია ორ ნაწილად.

კვლავ ინციდენტი.

ჰანოვერი. 14 დეკ. ლოზანიდან იტყობინებიან, რომ ექსპერტების თათბირზე დამსწრე რუსეთის ექსპერტებმა პროტესტის ნიშნად დასტოვეს სხდომა, როცა გამოირკვა, რომ საკითხი სრუტეების თავისუფლების შესახებ დაკავშირებულია განიარაღებულ ზონების საკითხთან.

საკითხი უმცირესობათა შესახებ.

რომი. 14 დეკემბ. სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ უმცირესობათა საკითხის განხილვის დროს ოსმალოებმა თანხმობა გამოსთქვეს დააწესონ უმცირესობათათვის რეჟიმი, დამყარებული ევროპის ხელშეკრულებაზე, მაგრამ ისინი წინააღმდეგნი არიან საკონტროლო ორგანოს დაარსებისა და უმცირესობათა სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებისა. ოსმალოებმა თანხმობა განაცხადეს მიეღოთ წინადადება ეროვნულ უმცირესობათა თავისუფალი მოძრაობის და ამნისტიის შესახებ. მოკლე პოლემიკურ შენიშვნას იძლევა ვენიზელოსი.

ლორდ კერზონმა მოითხოვა ეროვნულ უმცირესობათა მფარველობა და ერთა ლიგის კონტროლი უმცირესობათა დასაცავად და აღნიშნა, რომ ეროვნულ უმცირესობათა მფარველობის საკონტროლო ორგანო არ ეწინააღმდეგება ოსმალეთის სუვერენიტეტს და ამტკიცებს აგრეთვე უმცირესობის სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებით აუცილებლობას. დაარსებულია ქვე-კომისია, რომელიც შეუდგება მუშაობას იმის შემდეგ, როცა ოსმალოები პასუხს გასცემენ კერზონის განცხადებას.

დროა ბოლო მოეღოს

ჰანოვერი. 14 დეკ. უმცირესობათა დაცვის საკითხის განხილვის დროს კერზონის შემდეგ გამოვიდა ისმეტ-ფაშა, რომელმაც განაცხადა, რომ ოსმალეთი უარყოფს ყოველგვარ უცხოეთის კონტროლს უმცირესობათა დაცვისათვის და რომ უცხოეთის ოსმალეთის საქმეებში ჩარევას დროა ბოლო მოეღოს. ისმეტ-ფაშის ამ განცხადების გამო კერზონმა მწუხარება გამოსთქვა, რომ ახალი ოსმალეთი ასე ნაკლებ ანგარიშს უწევს საერთაშორისო უფლებას.

კერზონის განცხადება.

ლონდონი. 14 დეკ. „ნიუ [illegible]" ცნობების თანახმად კერზონმა განაცხადა, რომ ისმეტ-ფაშის პოზიციას უმცირესობათა საკითხში შეუძლია გამოიწვიოს მოკავშირეების დელეგაციების ლოზანიდან წასვლა და კონფერენციის დახურვა. ლორდ კერზონმა აღნიშნა, რომ საკითხი უმცირესობათა შესახებ უფრო მეტ ყურადღებას იწვევს, ვინემ სხვა საკითხები, რომელიც ირჩეოდა კონფერენციაზე. მან განაცხადა: „თუ კონფერენცია ჩაიშლება უმცირესობათა საკითხის გამო და ჩვენ დავტოვებთ ლოზანას ამ საკითხის გადაუჭრელად, უეჭველია რომ ოსმალეთის დელეგაციას არავინ მხარს არ დაუჭერს გარდა ანგორისა".

კერზონის მუქარა.

ლონდონი. 14 დეკემბ. უმცირესობათა საკითხის განხილვის დროს, კერზონი თავის სიტყვაში აფრთხილებდა ისმეტ-ფაშას, რომ უკანასკნელის პოზიცია გამოიწვევს მძიმე შედეგებს ინგლისის და სხვა სახელმწიფოების საზოგადოებრივ აზრში.

კერზონმა განაცხადა, რომ თუ ოსმალეობი არ გაიზიარებენ მოკავშირეების თვალსაზრისს, ეს იქნება კონფერენციის ჩაშლა სწორედ იმ საკითხის გამო, რომელიც ყველაზე უფრო აინტერესებდა მსოფლიოს.

ლონდონის კონფერენცია

მოსკოვი. 14 დეკემბ. შეერთებული შტატები არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს ლონდონის მოკავშირეების პრემიერთა მოლაპარაკებაში.

— ლონდონის კონფერენცია დამთავრდა. გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ პრემიერებმა გულდასმით განიხილეს რეპარაციის პრობლემის ეხლანდელი მდგომარეობა და საკითხი მოკავშირეების ვალების შესახებ. გერმანიის რეიხს კანცლერის წინადადება არ იცნეს დამაკმაყოფილებლად მოკავშირეების მინისტრებს არ ჰქონ და საშუალება მიეყვანენ გარკვეულ დასკვნამდი, რისთვისაც გადაწყვეტილ იქნა ლონდონის მოლაპარაკება 2 იანვრიდან განაგრძონ პარიზში.

ლონდონის თათბირის შედეგები.

ბორდო. 14 დეკემბ. მიუხედავად იანვრამდე ლონდონის თათბირის შეწყვეტისა, საფრანგეთის პრესა აღნიშნავს, რომ თათბირმა მიაღწია ორ მნიშვნელოვან შედეგს: 1) ერთხმად და მტკიცეთ უარყოფილ იქნა კანცლერ კუნოს წინადადება და 2) ინგლისმა თავის თავზე იკისრა ამერიკის ვალების გასტუმრების რისკი. ინგლისის რისკი აღემატება იმ თანხას, რომელსაც მიიღებს ინგლისი როგორც გერმანიისაგან ისე მოკავშირეებისაგან.

მოლოდინის წინააღმდეგ.

ჰანოვერი. 14 დეკემბ. პარიზიდან იუწყებიან, რომ პუანკარეს მოლაპარაკებას მილიერანთან ის შედეგი ქონდა, რომ პუანკარემ მოლოდინის წინააღმდეგ უარყო რურის ოლქის ოკუპაციის საჭიროება. თათბირის შემდეგ პუანკარემ განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ მას ლონდონის თათბირზე არ მოუთხოვია რურის ოლქის ოკუპაციის მოხდენა, ვინაიდან ის გარანტიები, რომელთა გატარებას იგი ფიქრობს, სრულებით ზედმეტად ხდიან სამხედრო ჩარევას. პუანკარემ დაუმატა, რომ იგი იტოვებს მოქმედების თავისუფლებას, და საჭიროების დროს, 15 იანვრის შემდეგ იმოქმედებს სრულებით დამოუკიდებლად.

პუანკარეს განცხადება.

ბორდო. 14 დეკემბ. პარიზის გაზეთებმა გამოაქვეყნეს პუანკარეს განცხადება, რომელიც გააკეთა მან ლონდონიდან დაბრუნების დროს. მან პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ თათბირზე ამა თუ იმ საკითხის ცალკე ნაწილის მოწესრიგებას ადგილი არ ქონია და რომ თათბირზე გამოტანილია დადგენილება, რომ ორი კვირის განმავლობაში არავითარი ზომები არ იქნას მიღებული. შემდეგ პუანკარემ აღნიშნა, რომ თუ იანვარშიც არ იქნა მიღწეული შეთანხმება საერთო მოქმედებისათვის, მაშინაც არ შეიძლება ლაპარაკი ანტანტის დაშლაზე.

უკიდურესი სასოწარკვეთილება.

ჰანოვერი. 14 დეკემბ. იტალიის პრესა უკიდურეს სასოწარკვეთილებას გამოსთქვამს ლონდონის თათბირის შეწყვეტის გამო. გაზ. „ჯორნალე დი რომა" ამბობს, რომ მოკავშირეების შეთანხმება საკონტრიბუციო კომისიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში შესაძლებელია თუ საფრანგეთი უარს იტყვის „რურის ოკუპაციაზე". გაზ. „იდეა ინტერნაციონალე" ამბობს, რომ იტალიამ იმიტომ კი არ მოახდინა შიგნივ ფაშისტური გადატრიალება, რომ საფრანგეთის ზეგავლენის ქვეშ მოიქცესო.

ახლო აღმოსავლეთში

ცუდი სიმპტომი.

ლონდონი. „მანჩესტერ გარდიანი" მესოპოტამიაში მომხდარ ინციდენტის და ამისგან გამოწვეულ მღელვარების შესახებ სწერს:

„მომხდარი ინციდენტები წარმოადგენენ უკმაყოფილების სიმპტომებს და დამშვიდებისათვის საჭიროა დიდი დრო. ინგლისის მიერ მესოპოტამიაზე მანდატის აღების საკითხი არასოდეს არ ყოფილა უბრალო საკითხი, მაგრამ ის უფრო რთული

საქართველოს კომ. პარტიის ტფილისის კომ-ტეტი წინადადებას იძლევა
პარასკევს, 15 დეკემბერს,

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგში დასვან საკითხი კოოპერაციის შესახებ; თეზისები გაზეთებშია. ამხ. ერქომაიშვილის საინსტრუქციო მოხსენება მოხდება ხუთშაბათს, 14 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე ტ. კ. ბინაზე. (რუსთაველის პროსპ. 22)
ყველა მიმაგრებულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

ტ. კ. მდივანის მაგიერ რუბენი.

„ქუჩის ბავშთა სახლი"-ს მომწყობი ცენტ. კომისია და ტფ. აღმაკ. სახალხო განათლების განყოფილება

სთხოვს დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და კერძო პირებს, რომლებიც აგროვებდენ შემოწირულებებს აღნიშნულ სახლის სასარგებლოდ, შეკრებილი ფულები შეიტანონ სახალხო განათლების განყოფილების საშუალებით ქალაქის აღმასკომის სალაროში, ხოლო ნივთები ჩააბარონ სახალხო განათლების განყოფილების საწყობში—პეტრე დიდის ქ. № 8, ვინაიდან არსებულ ორგანიზაციულ პერიოდში, სახლს ესაჭიროება როგორც ფული, ისე ნივთები.

სახლის მომწყობი ცენტრალური კომისია.
ქ. აღმასკ. სახალხო განათ. განყოფილება.

რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორა
აწოდებს უპირველესად
კოოპერატივებს და კერძო მეპურეებს
ყუბანის გაცრილ ფქვილს
ოთხას ათი ათას მან. ფუთს
(410.000)
ქართული ბონებით.
ყიდვა შეიძლება ტომრებით და ვაგონებით.
მისამართი: ტფილისი, საქონლის განყოფილება.

შეიქნა, მის შემდეგ რაც მას კომენტარიები გაუკეთეს ინგლისის და საზღვარგარეთის პრესამ. ჩვენ გვისაყვედურებენ მას, რომ ჩვენ კონცესიების ძლევას ვცდილობდით, რომ ჩვენ პანარაბული მოძრაობის მომხრე ვართ, რომ ჩვენ გაუგებარნი და მტაცებელნი ვართ. ბევრი დღენებით მოითხოვს, რომ ჩვენ მოვახთინოთ მესოპატამიის ევაკუაცია. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ირაკს შევპირდით თვითმართველობას, მაშინ ისინი მართალნი არიან. მაგრამ ირაკი ეკონომიურად დაცემულია. ასეთი მდგომარეობა შეიძლება უცნობლად შექმნილიყოს ომის დროს ჩვენი ჯარის ირაკზე გავლით. ეს ჩამორჩენილი ხალხი მისდევს მარტო მიწად-მოქმედებას და ჩვენ უნდა დავეხმაროთ მათ რამდენათაც შეგვიძლიან ეს. ირაკის აყვავება უპირატესად დამოკიდებულია მიწად-მოქმედების და მორწყვის სისტემის განვითარებაზე. სანამ ეს პრობლემები არ გადაწყდებიან, მანამ თვითმართველობა არავითარ ხეირს არ მოგვცემს. თვითმმართველობა უდაბნოში უსარგებლოა".

გერმანიის ამბები

სისხლის მღვრელი შეტაკებები.

ბორდო. 14 დეკემბ. შტუტგარტში და მის ახლო მდებარე ქალაქებში მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკებები მუშებსა და მიუნხენიდან აგიტაციის მიზნით ჩამოსულ ბავარიის ნაციონალისტებს შორის.

მრეწველები უკმაყოფილო არიან.

პარიზი 13 დეკ. გერმანიის მრეწველები პროტესტს აცხადებენ საკონტრიბუციო კომისიისადმი მიმართულ კუნოს უკანასკნელ ნოტის გამო. ისინი უკმაყოფილონი არიან იმით, რომ არ დაეკითხეს მათ ნოტის გაგზავნამდე.

მეორე და ორნახევარ ინტერნაციონალთა გაერთიანება

მოსკოვი. 14 დეკემბერი. ჰააგაში ვანდერველდის თავმჯდომარეობით მოხდა 2 რე და 2 ნახ. ინტერნაციონალთა აღმასრულებელი კომიტეტების გაერთიანებული სხდომა. მიღებულ იქნა რეზოლიუცია ორივე ინტერნაციონალებში მყოფ ორგანიზაციების გაერთიანების შესახებ. ამ მიზნით შედგენილი იქნა კომიტეტი, რომელშიდაც შედიან ორივე ინტერნაციონალთა წარმომადგენლები. კომიტეტს მინდობილი აქვს უახლოეს დროში საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა.

მშვიდობიანობის კონგრესი ჰააგაში

მოსკოვი. 14 დეკ. მშვიდობიანობის კონგრესის გახსნის დროს, კონგრესის თავმჯდომარემ ტომასმა განაცხადა, რომ კონგრესს ესწრება 600 დელეგატი, 14 მილიონი მუშების წარმომადგენელნი. ტომასმა აღნიშნა, რომ მსოფლიო ომმა მოსპო 35 ნახ. მილიონი კაცის სიცოცხლე, მან გაამრავლა სახელმწიფოების ვალიანება, რომელიც მთელი თავისი სიმძიმით აწვება მუშათა კლასს.

რუსეთ-იაპონიის დამოკიდებულება

მოსკოვი. 14 დეკ. მაროკაში მოხდა იაპონიის ვაჭარ მრეწველთა თათბირი. მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც ითვალისწინებს რუსეთთან ვაჭრობის გაჩაღების მიზნით სააქციონერო საზოგადოების მოწყობის აუცილებლობას.

რეზოლიუცია მოითხოვს მთავრობისაგან რუსეთთან ხელშეკრულების დადებას.

თათბირმა დაადგინა აგრეთვე გაგზავნოს რუსეთში თავისი წარმომადგენლები და პერიოდულად მოიწვიონ ასეთი თათბირები, რათა ხელი შეუწყონ რუსეთსა და იაპონიის შორის სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის მიზნით.

ირლანდიის პარლამენტში

მოსკოვი. 14 დეკემბერი. ირლანდიის პარლამენტის სხდომაზე მუშათა პარტიის ლიდერმა ტომს ჯონსონმა განაცხადა რა პროტესტი 4 რესპუბლიკანელის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, სთქვა: „მათი სიკვდილით დასჯა სასამართლომდე წარმოადგენს უბრალო მკვლელობას. ის სპობს ხალხის ყოველგვარ ნდობას ირლანდიის თავისუფალ სახელმწიფოს მთავრობისადმი".

მუშათა პარტიის სხვა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მცხოვრებლები ეხლა ამჯობინებენ დაუბრუნდენ ბრიტანეთის მთავრობის ხელისუფლებას.

გაილაშქრა რა ამ ორატორების წინააღმდეგ, მთავრობის წარმომადგენელმა დაიცვა ტერორის აუცილებლობა რესპუბლიკანელების მიმართ.

პარლამენტმა 39 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 14—სა ნდობა გამოუცხადა მთავრობას.

რომი, 14 დეკემბერი. დუბლინიდან იტყობინებიან, რომ კარიკანა-სიურეში აჯანყებულები შეცვივდნენ ყაზარმებში, ხელთ იგდეს ტყვიები, ცეცხლი წაუკიდეს სამხედრო საწყობებს, წაიღეს ტყვიის-მფრქვევლები და მათი საშუალებით დაეპატრონენ მთელ ქალაქს.

სხვადასხვა ამბები

ახალი პოლიტიკური პარტია საფრანგეთში.

მოსკოვი, 14 დეკემბ. საფრანგეთის კომუნისტურ პარტიიდან უკანასკნელ კონგრესის დროს გამორიცხულ წევრებმა: ვერფეილმა, სოლიემ და სანტიემ შეადგინეს ახალი პოლიტიკური ჯგუფი. ამ ჯგუფს განზრახვა აქვს მომავალ კონგრესზე დიჟონში შეადგინოს ახალი პარტია.

ავსტრიის უმუშევართა შორის.

მოსკოვი, 14 დეკემბ. ვენიდან იუწყებიან, რომ სოციალ-დემოკრატებმა უარი განაცხადეს უმუშევართა დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღებაზე. დემონსტრაცია მოწყობილ იქნა ავსტრიის უმუშევართა ცენტრალურ კომიტეტის მიერ კომუნისტების ხელმძღვანელობით.

ლტოლვილების დაბრუნება

ბორდო. 14 დეკემ. საბერძნეთის ლტოლვილთა კომიტეტის თავმჯდომარემ გაუგზავნა ვენიზელოსს დეპეშა, რომელშიაც გამოთქმულია სურვილი, რათა მცირე აზიიდან გაქცეულ ბერძნებს და სომხებს მიეცეთ ანატოლიაში დაბრუნების შესაძლებლობა.

აჯანყება სუდანში

ჰანოვერი. 14 დეკემბერი. რეიტერის სააგენტო კაირიდან იტყობინება სუდანში მომხდარ აჯანყების შესახებ, რომლის დროს მოკლულ იქნა მრავალი პოლიციელი.

ნავთი

მოსკოვი. 14 დეკემბ. ნიუ-იორკიდან იუწყებიან, რომ ამერიკელები ყიდულობენ აბდულ გამიდის მემკვიდრეებისგან მესოპოტამიაში ნავთის ადგილებს, ღირებულს ერთ მილიარდ დოლარს.

ჩინეთი

მოსკოვი. 14 დეკემბ. შანხაის ბეჭდვითი კავშირის მუშებმა მრეწველებს წარუდგინეს მოთხოვნილება რვა საათის სამუშაო დღის დაწესების შესახებ.

წითელ რესპუბლიკებში

გადასახლების მოძრაობა.

მოსკოვი. 13 დეკემბ. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა დროებით იქნეს შეწყვეტილი ციმბირში გადასახლება და გადასახლებულებს ნება მიეცეთ სამხრეთ-აღმოსავლეთში დასახლებისა. ამ ოლქებში შედის ვოლგის სანაპიროებზე, დონის ოლქი და ჩრდილოეთ კავკასია. კოლეგიამ სცნო სასურველად იქნას ჩასახლება სამხრეთის გუბერნიაში, რომელნიც შეიცავენ დიდ ბუნებრივ სიმდიდრეს, რომლის ექსპლოატაციაც დაუსახლებლად შეუძლებელია. კოლეგიამ დაადგინა რომ გადასახლებულებს შერჩესთ უფლება წინანდელ მიწის ნადელზე 6 წლიდან 10 წლამდე, სადაც შეუძლიათ დაბრუნდნენ, თუ სათანადოთ ვერ მოეწყობიან ახალ ადგილზე.

შტატების შემოკლება საბჭოთა დაწესებულებებში.

მოსკოვი. 13 დეკემბ. ფინანსთა სახალხო კომისარმა შეიტანა წინადადება სახალხო კომისართა საბჭოში საბჭოთა დაწესებულებებში პირველ თებერვლისთვის შტატების 25 პროც. შემცირების შესახებ.

რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატა.

მოსკოვი. 13 დეკემბერი. გაიმართა რუსეთ აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის საზეიმო გახსნა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს რუსეთის ეკონომიურად დაახლოვებას ბუხარასთან, სპარსეთთან, ოსმალეთთან, ავღანისტანთან, მონღოლეთთან, ჩინეთთან და იაპონიასთან.

საზოგადოების წევრობა შეუძლიათ სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო წარმოებებს.

საზეიმო სხდომაზე გამოვიდნენ მისალმებებით გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ბუხარინი და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე ფრუმკინი.

სპარსეთის საგანგებო ელჩმა მამელიუკმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ რუსეთმა და სპარსეთმა ბევრი დაჰკარგეს სპარსეთ-რუსეთის ვაჭრობის 8 წლით შეწყვეტით. ელჩმა იმედი გამოსთქვა, რომ ახლო მომავალში დაიდება რუსეთ-სპარსეთის ხელშეკრულება.

ოსმალეთის რწმუნებულმა აზიზბეიმ განაცხადა, რომ პალატის დაარსება ხელს შეუწყობს რუსეთ-ოსმალეთის ეკონომიურ ურთიერთობის განმტკიცებას.

მონღოლეთის რესპუბლიკის წარმომადგენელმა დეეშანგომ აღნიშნა, რომ მონღოლეთის უფრო მეგობრულ მეზობლად წარმოადგენს რუსეთი.

სხდომამ მოისმინა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენლის ბოდანოვის მოხსენება აღმოსავლეთში რუსეთის ვაჭრობის პერსპექტივების შესახებ.

სამეურნეო ფრონტზე.

მოსკოვი. 13 დეკემბ. ქარხანა „კრასნი პუტილოვეცი" შეუდგა ორთქმავლების მსხვილ დაკვეთის ასრულებას. სამი წლის განმავლობაში ქარხანამ უნდა გამოუშვას 34 ახალი ორთქმავალი და კაპიტალურად უნდა შეაკეთოს 228 ორთქმავალი. ქარხნის მუშების რაოდენობა დიდდება 4 000 კაცით. მანქანების სამშენებლო ტრესტმა მოაწყო რუსეთში პირველად სართავ თითისტარების წარმოება.

საბჭოთა მეათე ყრილობის გამო

მოსკოვი. 13 დეკემბ. „როსტას" თანამშრომელთან საუბარში სრულიად რუსეთის ცენტრალ აღმასკომის წევრმა სოფრონოვმა განაცხადა: „საბჭოთა მე-10-ე ყრილობამ უნდა გაუკეთოს ჯამი ჩვენი ხუთი წლის მოღვაწეობას საშინაო და საგარეო პოლიტიკის სფეროში. მეურნეობის სფეროში ყრილობა უმთავრესად უნდა შეჩერდეს უკანასკნელი წლის შედეგზე. ამ წლის განმავლობაში წვრილი და მსხვილი მრეწველობა ძლიერ გაფართოვდა, წარმოებები გადავიდნენ სამეურნეო ანგარიშზე. ყრილობამ უნდა გამოარკვიოს როგორ მუშაობენ ტრესტები, რა მდგომარეობაშია ნედლი მასალის და სათბობის საკითხი, იღებს თუ არა მონაწილეობას მუშათა და გლეხთა ახალი ძალები ჩვენი მრეწველობის ორგანიზაციასა და ხელმძღვანელობაში.

სასოფლო მეურნეობის სფეროში ყრილობამ უნდა შეიმუშაოს ღონისძიებანი სასოფლო მეურნეობის მაქსიმალურად აღდგენისათვის და მომავალი თესვის კამპანიის ჩასატარებლად.

ყრილობაზე უდიდეს ადგილს დაიჭერს საფინანსო საკითხი: მანეთის სტაბილიზაცია, ბანკების და საკრედიტო საზოგადოებათა ორგანიზაცია, გადასახადების სწორი განაწილება. ყრილობამ უნდა გამონახოს საშუალება სახალხო განათლების აღორძინებისათვის და მიიღოს ზომები სახელმწიფო აპარატის მაქსიმალურად შემცირებისა და განმარტივებისათვის.

ახალგაზრდათა კომინტერნის კონგრესი

მოსკოვი, 14 დეკემბერი. ახალგაზრდობის კომინტერნის კონგრესის თერთმეტ დეკემბრის სხდომაზე შილერმა გააკეთა მოხსენება მუშათა ახალგაზრდობის ეკონომიურ მდგომარეობაზე. მან აღნიშნა, რომ საჭიროა კომუნისტურ ახალგაზრდობის ეკონომიურ მოთხოვნილებების საერთაშორისო პროგრამის შემუშავება. ამ პროგრამას საფუძვლად უნდა დაედვას შემდეგი მოთხოვნილებანი: ახალგაზრდების და მოზრდილების შრომის ერთნაირად დაფასება, ხელფასის საარსებო მინიმუმის დაწესება, ექვსი საათის სამუშაო დღის შემოღება, ღამით მუშაობის მოსპობა და საქარხნო სკოლების სისტემის დაწესება.

სრულიად უკრაინის საბჭოთა მე-7-ე ყრილობა

ხარკოვი, 13 დეკემბერი. 10 დეკემბერს ხარკოვში გაიხსნა სრულიად უკრაინის საბჭოთა მე 7 ე ყრილობა. იმავე დღეს გამოსული გაზეთები ვრცლად სწერენ ყრილობის შესახებ და სალამს უძღვნიან მშრომელი უკრაინის ბატონ-პატრონს. გაზეთი „კომუნისტი" აღნიშნავს, რომ ყრილობები, მათ რიცხვში სრულიად უკრაინის ყრილობაც იხსნება იმ დროს, როდესაც ჩვენს მოწინააღმდეგე კაპიტალისტურ ბანაკში მუშათა კლასი საკმაოდ მოღონიერდა და დარაზმა თავისი ძალები, საბჭოთა რესპუბლიკების შიგნით კი მისი ძლიერება ყველასათვის აშკარაა. ამით განისაზღვრება, სწერს გაზეთი, ჩვენი მოქმედების გეგმა საერთაშორისო პრენაზე და საშინაო აღმშენებლობის სფეროში. საგარეო პოლიტიკაში ჩვენს მიზანს შეადგენს შეიარაღების შემცირება; საშინაო პოლიტიკაში უნდა განვაგრძოთ ენერგიული ბრძოლა მეურნეობის გამოცოცხლებისა და მრეწველობის აღორძინებისათვის. საკანონმდებლო-საორგანიზაციო მუშაობის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ნაწილი რევოლიუციის არსებულ სტადიაში შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს. სახელმწიფოებრივი მუშაობის გეგმა ახალ პირობებში უკვე განსაზღვრული და დაწესებულია, საჭიროა ამ გეგმის ცხოვრებაში გატარება ძალთა მაქსიმალური ეკონომიით და ენერგიის და მატერიალური რესურსების უსარგებლოდ ხარჯვის გარეშე. საბჭოთა რესპუბლიკებთან უფრო მჭიდროთ გაერთიანების მომავალი იურიდიული ჩამოყალიბება მიმართულია იქითკენ, რომ სამხედრო და სამეურნეო სფეროებში თანდათანობითი გაერთიანების განხორციელებით, მივიღოთ ფედერატიული სახელმწიფოს ძალების მაქსიმალური დაგროვება და ერთ და იმავე დროს ხელი შევუწყოთ კულტურის მაქსიმალურ განვითარებას მის ცალკე სფეროებში".

— ესალმება რა ყრილობას „კომუნისტის" ფურცლებზე პეტროვსკი აღნიშნავს, რომ სრულიად უკრაინის მე 7-ე და სრულიად რუსეთის მე 10 ე ყრილობები იკრიბებიან იმ ისტორიული აღტყინების პირობებში, რომელიც გამოიხატა ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავის დღესასწაულობის დროს, ფედერაციის საერთო აღორძინების პირობებში. გამოცოცხლდა ქარხნები, შრომის ინტენსივობა დღითი დღე იზრდება და ზოგიერთ სფეროში მან უკვე გადააჭარბა ომის წინად არსებულ ნორმას, ბოლო ეღება კრიზისებს, ისპობა შიმშილის შედეგები, სწარმოებს ენერგიული მუშაობა სასოფლო მეურნეობის აღსადგენად. ამ უკანასკნელ მიზნისთვის გაცემულია საერთოდ 10 მილ. მარცვლეული, დახმარება ეძლევათ აგრეთვე ცოცხალი და უძრავი ინვენტარით. აღორძინების გზაზე სდგას სახალხო განათლება—უმაღლეს სასწავლებელთა პერსონალი მასწავლებლებთან ერთად თითქმის ერთი ორად გაიზარდა. ამასთანავე ერთად ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში რევოლიუციონური მოძრაობა იზრდება და ძველ ქვეყანას დღითი დღე ნიადაგი ეცლება ფეხ ქვეშ, როგორც მაღალი პირამიდა სდგას მთელი ქვეყნის წინაშე საბჭოთა ფედერაცია და წითელი დროშით ხელში მოუწოდებს ბრძოლისაკენ დეე ყოველმა მშრომელმა მუშა და გლეხმა შეიგნოს მსოფლიო რევოლიუციის ამოცანები. პროლეტარიატის მიერ დაწყებული საქმე, არ არის ერთი სახელმწიფოს ორგანიზაცია, არამედ ის არის მთელი ქვეყნის მშრომელთა გაერთიანებულ სახელმწიფოს ორგანიზაცია.

გაზეთი „პროლეტარი" ესალმება რა უკრაინის ბატონ პატრონს, ხაზს უსვამს ყრილობის ყურადღების ცენტრში მდგარ საკითხს რესპუბლიკებთან ახალ ურთიერთობის დამყარების შესახებ ფედერატიული პრინციპის განმტკიცების საფუძველზე, რომელსაც გვიკარნახებს ჩვენი სახელმწიფოებრივი საბჭოთა აღმშენებლობის განვითარება და მსვლელობა. გაზეთი გამოსთქვამს რწმენას, რომ დღის წესრიგში მდგარ ყველა საკითხების შესახებ უკრაინის მუშათა და გლეხთა პარლამენტი მიიღებს უკრაინის მშრომელთა ინტერესებისათვის სასარგებლო გადაწყვეტილებებს.

— მთავრობის ანგარიშის შესახებ ყრილობის დელეგატების სხვა და სხვა შეკითხვებზე პასუხის გაცემის დროს ფრუნზემ, სხვათა შორის განაცხადა: „სანამ არ იქნება დაგროვებული საჭიროებელ საშუალებათა საკმაო რაოდენობა, რომელთა დაგროვება ჯერ-ჯერობით ნელის ტემპით სწარმოებს, მსხვილი მრეწველობის სფეროში მნიშვნელოვან გაუმჯობესებას არ უნდა მოველოდეთ. უღარიბესი მოსახლეობის ინტერესები, რომლის შესახებ აქ ლაპარაკობდენ კამათში, მთავრობას ყოველთვის აქვს მხედველობაში და შეძლების და გვარად აწვდის მათ დახმარებას. უკრაინის უღარიბეს მოსახლეობას მიეცა 800 ათასი ფუთი სათესლე. მათვე გადაეცათ სახელმწიფოს მიერ შესყიდულ საქონლის 10 პროც. და ტყეების ექსპლოატაციისაგან შემოსულ თანხის 20 პროც.".

შეკითხვაზე საბჭოთა ტერიტორიაზე ბანდიტების გადმოსვლის შესახებ, რომელნიც მოქმედებენ უკრაინის მეზობელ სახელმწიფოებში ფრუნზემ განაცხადა: „მთავრობას ესმის ის აღშფოთება, რომელსაც იწვევს მცხოვრებლებში ჩვენს ტერიტორიაზე ბანდების გადმოსვლა, რომელნიც ეწყობიან უცხოეთის ტერიტორიაზე. მთავრობას ესმის მშრომელთა განცხადება იმის შესახებ, რომ ბანდები აფერხებენ მშვიდობიანი მუშაობის მსვლელობას. დიპლომატიური ხასიათის ზომები მთავრობის მიერ უკვე მიღებულია".

რუმინიასთან ურთიერთობის შესახებ ფრუნზემ, სხვა შორის, მიუთითა რომ მთავრობის მიერ მიღებული იქნება ყოველგვარი ზომები უკრაინის ყველა იმ მუშების და გლეხების ინტერესების დასაცავათ, რომელნიც ასე თუ ისე მოხვდებიან უცხოეთის ტერიტორიაზე.

ყრილობამ კომფრაქციის წინადადებით ერთხმად მოიწონა მთავრობის მოღვაწეობა წარსული წლის განმავლობაში და გამოუცხადა მას სრული ნდობა.

ფინანსთა სახ. კომისარიატის წარმომადგენელმა, რომელიც გამოვიდა მოხსენებით საფინანსო პოლიტიკის შესახებ, აღნიშნა ღონისძიებანი მანეთიანის სტაბილიზაციისათვის, რომლის ერთ უმთავრეს საშუალებათ უნდა ჩაითვალოს, სწორი გადასახადთა პოლიტიკა. ამ მხრივ მიღწეულია მნიშვნელოვანი შედეგები. 1923 წლის ბიუჯეტი, ისე როგორც წინანდელი, შედგენილია დიდი დაკვირვებით. იქ უმთავრესი ყურადღება მიქცეულია ხარჯების შემცირებაზე და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის სხვა და სხვა დარგებში სამეურნეო ანგარიშის შემოღებაზე. მომავალი წლისათვის უკრაინას პირველად აქვს დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რომლის შემოსავლის უმთავრეს წყაროს შეადგენს სასურსათო გადასახადი, რომელიც აღემატება მთელი ბიუჯეტის 47 პროცენტს. ფულის ტრიალის გაჯანსაღების საქმეში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს სახელმწიფო ბანკი, რომელიც აფართოებს თავის განყოფილებათა ქსელს სახელმწიფოს სხვა და სხვა ადგილებში. ჩერდება რა დაწვრილებით უკრაინაში გადასახადების აკრეფის დახასიათებაზე, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამ ჟამად პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადთა შეფარდება უდრის 2—1 შეფარდებას. მიმდინარე წლის 11 თვის განმავლობაში არაპირდაპირი გადასახადი უკრაინაში [illegible] 23 ტრილიონი, პირდაპირი გადასახადი კი 46 ტრილიონი. საერთო-სამოქალაქო გადასახადი უკრაინამ მოგვცა 34 პროცენტი.

მიწად-მოქმედების სახ. კომისარმა კლიმენკომ თავის მოხსენებაში აღნიშნა საკმაო გამარჯვება სასოფლო მეურნეობის აღორძინების სფეროში. უკან დახევა სასოფლო მეურნეობის ფრონტზე იერიშით შეიცვალა. მიწა უკვე ჩამოერთვა ყველას, ვინც მას არ ამუშავებს. ჩამორთმეული 12 მილ. დესიატინა სავსებით განაწილდა მშრომელ ელემენტებს შორის. ამ ჟამად მიწის მთელი სივრცის 93 პროც. გლეხობის ხელშია, 7 პროც. გადადებულია მრეწველობის ფონდისათვის. დიდი ყურადღება მიქცეული შაქრის მრეწველობის, მიწის ჩამორთმევაზე: ჩამორთმეულია 2 მილიონამდე, რომელიც სავსებით გადაეცა მშრომელ გლეხობას. გლეხებმა ჭარხლის პლანტაციების სივრცე 2 ნახევარჯერ გაადიდეს. მიმდინარე წელს შეკრებილი მოსავალი შეადგენს 1916 წელს აკრეფილ ხორბლეულის 61 პროცენტს. მიმდინარე წელს მინდვრიან ადგილებში მეტად განვითარდა სიმინდის კულტურა, რომელსაც უჭირავს 1 მილ. დესეტინა, 1916 წლისაზე ორჯერ მეტი. საზამთრო თესვის კამპანია დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. უკვე გაცემულ სასოფლო-მეურნეობის სესხის საერთო თანხა აღწევს 10 მილიონ ოქროს მანეთს. საჭიროა შექმნა (გამოტოვებულია)... ამ სფეროში პოლიტიკის კოორდინაციის მიზანშეწონილად ხელმძღვანელობის მიზნით.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

ერევნის მაზრის მიწად-მოქმედების განყოფილება.

ერევნის მაზრის მიწად მოქმედების განყოფილება შეუდგა საორგანიზაციო მუშაობას საცდელ მინდვრებში. გაიხსნა საქონლის მოშენების სპეციალური პუნქტი. ნოემბერში მოეწყო მთელი რიგი ლექციებისა სასოფლო მეურნეობის საკითხების შესახებ. ამავე თემაზე წაკითხულ იქნა ლექციები წითელ-არმიელებისათვის.

კოოპერაცია. სწარმოებს მუშაობა სომხეთის სამოქალაქო და მუშათა კოოპერაციის გასაერთიანებლად, რომლის დამთავრება განზრახულია 20 დეკემბრისათვის.

შირაქის არხი. მუშაობა შირაქის არხის გასაყვანად ენერგიულად სწარმოებს. მუშაობს 200-მდე მუშა. გვირაბის გათხრა ხდება ორი მხრიდან. მუშებისათვის გაშენებულია სპეციალური სადგომები. გვირაბის გათხრასთან ერთად სწარმოებს მუშაობა კედლების გასამაგრებლად. ასაფეთქებელი მასალა იკმარებს კიდევ 4 თვეს.

საქართველო

ცხენის-წყალი.

ახალსენაკი. ძველად ოსმალოებს ტყუილად არ დაურქმევიათ მდინარე ცხენის წყალისთვის „კუჯა წყალი", რაც ნიშნავს გადარეულ მდინარეს. მართლაც ცხენის-წყალი გიჟი მდინარეა, რომელსაც დიდი ზიანი მოაქვს. თავის სათავეს ის იღებს კავკასიის მთის კალთებში და მიემართება სვანეთის, ლეჩხუმის და რაჭის მთებში, ეშვება დაბლობისაკენ სოფელ გორდის მახლობლად და განაგრძობს თავის გზას იმერეთისა და სამეგრელოს შორის რიონთან შეერთებამდე.

ამ მდინარეს არა ერთხელ მიუყენებია უბედურება მის მარჯვენა ნაპირზე გაშენებულ სოფლებისათვის,ართმევდა დახნულ მიწებს სოფელ მაიდანის, სამიქაოს, გელუხეთის, გეზათის, კელობანის და სხვ. მცხოვრებლებს.

საქართველოს „სოვეტიზაციის" შემდეგ, 1921 წლის ბოლო რიცხვებში ჰიდრო-საინჟინერო განყოფილება შეუდგა ნაპირების გამაგრებას. დაიხარჯა მნიშვნელოვანი თანხა.

განაპირა რაიონების ამაშის, ბანძის და ნაწილობრივ მარტვილის მცხოვრებლებმა დიდი შრომა გასწიეს ამ საქმისათვის. გააკეთეს ჯებირები მარჯვენა ნაპირზე სოფ. მაიდანში და გეზათში. გაზაფხულისათვის მუშაობა დამთავრებული იყო. მაიდანის ჯებირებმა გაუძლეს მდინარის გადიდებას, მაგრამ გეზათის ჯებირები დაზიანდენ.

1 დეკემბერს ახალსენაკის მაზრაში საბჭოთა ყრილობაზე ხუნცინის თემის აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ხარებავამ აღნიშნა, რომ ცხენის წყალი სამეგრელოს ემუქრება ახალი უბედურებით: მდინარემ განზე დასტოვა მაიდანის ჯებირი და დადგა ახალ მიმართულებას სოფელ ხუნციდან სამხრეთ-დასავლეთით.

საშიშროება მოელის თემს, რომელშიაც შედიან რამოდენიმე სოფლები: ხუნცინი, ნაგვაზოვი, ლეხაინდრაო, სენიეთი, სამიქაო, ონტოფა, აბაშა, კვათანა, ნაესაკოვი და სუჯუნი. ეს სოფლები საუკეთესო ადგილებს წარმოადგენენ მთელ სენაკის მაზრაში.

საქართველოს ქალაქების აღწერა

ქ. ქუთაისის მცხოვრებთა აღწერა

30 ნოემბერს დაიწყო სააღწერო მუშაობა ქ. ქუთაისში.

აღწერისათვის ქალაქი იყო გაყოფილი 5 სააღწერო რაიონთან, 15 უბნათ და 13 საკონტროლოთ. როგორც თვითეული რაიონის გამგეებმა, ისე კონტროლიორებმა და აღმწერლებმა წინა წარ გაიარეს 4 დღიანი საინსტრუქტორო კურსები, ჩაატარეს სანიმუშო აღწერა, შეისწავლეს თავიანთი უბნები და მიიღეს გეგმა მათი მდგომარეობისა.

30 ნოემბერს დილის 9 საათზე ყველა, გამოუკლებლათ, როგორც აღმწერლები ისე კონტროლიორები შეუდგნენ მუშაობას.

მშვენიერი ამინდი ხელს უწყობდა მუშაობას, მაგრამ პირველ დეკემბერს წამოვიდა წვიმა-თოვლი, რამაც შეაფერხა მუშაობის მიმდინარეობა—განსაკუთრებით ქალაქის განაპირა ნაწილებში, გაბაშვილის და არქიელის გორაზე.

2 დეკემბერს მუშაობა ქალაქის უმეტეს ნაწილში დამთავრდა. განაპირა ნაწილებში მუშაობა გაგრძელდა 3 დეკემბრამდე. 3 დეკემბერს დამთავრდა ქალაქის ყველა რაიონების აღწერა და დაიწყო მუშაობის გადასინჯვა.

მიუხედავათ ცუდი ამინდებისა აღმწერლებმა კარგათ შეასრულეს დავალებული საქმე და ნაშრომში მათი საუცხოვო აღმოჩნდა.

აღწერის მსვლელობის დროს არ ქონია ადგილი არავითარ ინციდენტს. მართალია ქალაქის განაპირას—მესხეთის ქუჩის ბოლოში, მცხოვრებთა შორის გავრცელდა ხმა, თითქოს აღწერა ხდებოდა გადასახადების, გაწერისათვის მაგრამ ეს გაუგებრობა გაფანტულ იქნა აღმწერლების მიერ. სხვა რაიონში პირიქით გავრცელდა ხმა, რომ უმუშევართ, რომლებიც მოხვდებიან აღწერაში მიეცემათ დახმარება, ამის გამო რამოდენიმე ყასაბმა და ვაჭარმა სცადეს ჩარიცხვა უმუშევართა სახელით, მაგრამ რადგანაც თვითეული აღმწერი კარგათ იცნობდა ყველა მცხოვრებლებს, რომლებშიდაც მუშაობდა ამის გამო ეს „უმუშევრები" ადვილათ იქნენ ამოშლილი სიიდან.

სრული გადასინჯვა სააღწერო მუშაობისა მოხდება ქ. ტფილისში, რისთვისაც იქ უნდა გაიგზავნოს მთელი მასალა.

მცხოვრებთა წინასწარმა აღრიცხვამ, წიგნაკების შევსების საშუალებით, მოგვცა ქ ქუთაისის მცხოვრებთა რაოდენობის 45.373 რიცხვი ორივე სქესისა. ეს რიცხვი სრულიად შეეფერება სინამდვილეს. მართლაც, ქ. ქუთაისის მცხოვრებთა რაოდენობა ომამდე, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ისაზღვრებოდა შემდეგი რაოდენობით:

1909 წ.—36,238 სული ორივე სქესის.
1910 წ.—არ არის ცნობები.
1911 წ.—39 488 სული ორივე სქესის.
1912 წ.—40.447 „ „ „
1913 წ.—41,729 „ „ „

1917 წლის აღწერით ქ. ქუთაისის მცხოვრებთა რაოდენობა უდრიდა 42,448 კაცს ორივე სქესისას. ყოველ დღიურათ ბუნებრივი ზრდა ქუთაისის მცხოვრებთა რაოდენობის გამოიხატება დაახლოებით 1,4 პროც.-ში. მაშასადამე 1917 წლიდან ხუთი წლის განმავლობაში მცხოვრებთა რიცხვი უნდა გადიდებულიყო 2961-ით და 1922 წელს მოგვცემდა 45.409 რიცხვს ორივე სქესის შემადგენლობით. ასეთი ციფრი, მატემატიკა სტატისტიკური გზით მოგვცა ჩვენ დღევანდელმა აღწერამ.

სხვათა შორის ამ აღწერის დროს ბევრს ლაპარაკობდენ ქუთაისის მცხოვრებთა რიცხვის სიმრავლეზე და ფიქრობდენ—რომ მისი მცხოვრებთა რიცხვი 60—70 ათას აღემატებაო. ეს მითიური ციფრები შეიქნენ 1918—19 წლებში, როდესაც სასურსათო კრიზისის გამო ყოველ ადამიანზე დადგენილ იქნა პურის რაციონი და შემოღებული იყო პურის კუპონები. რასაკვირველია ყველა ცდილობდა რაც შეიძლება ბევრი სული ჩაეწერა, რომ ამით მეტი პურის აღება შესძლებოდა. ამრიგათ შეიქნა დიდი რაოდენობა „მკვდარი სულებისა“.

წარსული წლის სტატ ბიურო შეუდგა 1919 წლის ქუთაისის მცხოვრებთა რაოდენობის აღწერას, სასურსათო სიის საშუალებით. აღმოჩნდა, რომ მცხოვრებთა რაოდენობა ამ დროს უდრიდა დაახლოებით 75,000 სულს. რასაკვირველია მთელი ნახევარი ამ რიცხვისა იყო „მკვდარი სულები“ ანუ უკეთ რომ ვსთქვათ „პურის სულები“.

დღევანდელმა აღწერამ კი გაფანტა ეს მითიური ციფრები და მოგვცა ნამდვილი და სწორი რიცხვი, რომელზედაც შეიძლება დავამყაროთ ყველა ეკონომიური, სასურსათო, კულტურული და სხვა ანგარიშები.

„მ. და გდ.“

კალენნიკოვი.

—

ქ. სურამის მცხოვრებთა აღწერა

სანამ ქალაქ სურამის მცხოვრებთა ფაქტიური აღწერა დაიწყებოდა, 24 ნოემბრიდანვე ადგილობრივ მუშათა კლუბში ამხ. ვარძიელი ხელმძღვანელობით ყოველდღე საღამოს 4 საათიდან სწარმოებდა მეცადინეობა: ახსნა-განმარტება და მუხლობრივი განხილვა ინსტრუქციისა: საპირადო, საბინაო, სასახლკარო ფურცლების. რამდენჯერმე იმავე ამხ. ვარძიელმა გააკეთა საერთო მოხსენება აღწერის მიზნის და მნიშვნელობის შესახებ; ყველა ამის შემდეგ თამამად შეიძლება ითქვას, რომ თანამშრომლები, რომლების დიდი უმრავლესობა შესდგებოდა საბჭოთა მოსამსახურეებიდან, მასწავლებლებიდან და მოწაფეებიდან კარგად მომზადებული იყვნენ აღწერისათვის. აღწერის პირველ დღეს 30 გიორგობისთვეს დილის 8 საათზე გამოცხადდა გამგეობაში ყველა აღმწერი რიცხვით 30; მათ დაურიგდათ: ფანქარი, საშლელი, ჩანთა საჭირო ყოველ გვარ ფურცლის რიცხვით და გაემგზავრენ სწორედ 9 საათზე თავთავიანთ უბნებში მცხოვრებთა აღსაწერათ. ქალაქი წინასწარ გაყოფილი იყო 24 უბნათ.

მცხოვრებნი პირველ დღეს აღწერას გაკვირვებით ხვდებოდენ, ეგონათ, რომ აღწერა მომასწავებელია გადასახადების გაწერის, მაგრამ როდესაც გაიგეს აღწერის მიზანი და მნიშვნელობა მაშინ ყველა მცხოვრებნი იძლეოდენ სწორ საჭირო ცნობებს. აღწერა გაგრძელდა ქალაქ სურამში 3—4 დღე და უკვე ყველა აღმწერლების მიერ ამ ჟამად ჩაბარებული აქვთ დამუშავებელი მასალა გამგეობისადმი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის მცირე ნაკლი აღწერისა რომელსაც ალაგი ჰქონდა სურამში. ქალაქის ერთი ნაწილი, სახელდობრ გვერდის უბანი, რომელიც ფართოთ გადამბულია სურამთან და თვით სახელიც უმტკიცებს რომ გვერდზე მდებარე უბანია და მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას, გარდა მიწის მუშებისა, შეადგენენ რკინის გზის მუშა-მოხელეები (კონდუქტორები, მეისრეები, კონტორჩიკები და სხვა) ქალაქის დაწესებულების მოსამსახურეები, ხელოსნები, ვაჭრები და სხვა რიცხვით 200 კომლამდე აღწერის გარეშე დარჩენ (მგონია იმ მოსაზრებით, რომ ცუდი ამინდი იყო, და არ ხერხდებოდა აღწერა).

სულ ქალაქ სურამში მოხდენილ აღწერის თანახმად 910 მფლობელობაა, 1892 ბინაა, 4500 მცხოვრები. ეს რიცხვი ზაფხულობით, სახელდობრ მაისიდან ენკენისთვემდე თითქმის ერთი ოთად იზრდება, ვინაიდან ქალაქ სურამში მოდიან საგარაკოთ მშვენიერ ჰაერის გამო მრავალი მოაგარაკენი და ჯარი.

კოტი

ღვინის ტრესტის მოღვაწეებს*)

ეტყობა მოსვენება დაეკარგათ ღვინის ტრესტის მეთაურებს: ყოველგვარი საშუალებით სცდილობენ, მაგრამ დაიცვან თავიანთ თბილი საბუდარი.

მოქ. ავადკოვი გამოგვეკამათა.

ჯერ ერთი ის პოლიტიკურათ მასმენს, ვითომ მე ანგარებით ხიტებს ვასხამდე საბჭოთა წყობილებას.

მე, როგორც ჩემი ნაწერებით, აგრეთვე ნამოქმედარით ნათელყოფ სადაც ჯერ არის ჩემს ნამდვილ პოლიტიკურ შეხედულებას რამდენიმე წლის განმავლობაში ამ უკანასკნელ ჟამამდის.

მაგრამ თქვენ ეს გჭირდებათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩაჰქმალოთ ის ბრალდებანი, რომელნიც მძიმე უროსავით გცემენ თავში.

პირველი სიყალბე:

თქვენ ბრძანებთ სიმინდი ღირდა 160—170 ათასი მანეთი ფ, მაგრამ წარმოიდგინეთ ყოფილა ვინმე ქვილმოქმედი სოკოლოვი, რომელიც 130 ათასად აბარებს ფუთსა.

სად არის აქ ლოღიკა?

შემდეგ: კავშირმა თვითონ დაგიდოთ პირობა ორი კვირის ვადით, თქვენ პასუხი მიეცით მხოლოდ ვადის გათავების დღეს, რაც დამტკიცებული იქნება.

თუ სოკოლოვს 10 ოქტომბერში უთავდებოდა ვადა, შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში რაღად აბარებდა სიმინდს?

სიმინდი ღირდა 70—80 ათასი, სოკოლოვი რომ უფრო ნაკლებადაც ჰყიდულობდა ამასაც დაგიმტკიცებთ. და თუ კავშირმა ითხოვა 105 ათასი ეს ნუ თუ არ იცით რისთვის? ჯერ ერთი ყველასათვის ცხადია უნდა მიგვემატებინა 10—20 პროცენტი მოგება და შემდეგ; კავშირს ეშინოდა სოკოლოვის კონკურენციისა, რომელსაც საშუალება ჰქონდა ბევრით მეტი მიეცა გამყიდველისთვის და ამითი გაებათილებინა კავშირის საქმიანობა.

თუ ჩემი მტკიცება: სიმინდი 70—80 ათასი ღირდა—„განზრახ მოჭრილი სიყალბეა“ თქვენი სიტყვით, ამას დავამტკიცებთ მთელი საბუთებით „კავშირისა“, „ხორბლისა“, ყველა გომის ვაჭრების, მახლობელი სოფლის გლეხობისა და თვით თქვენ ქარხანაში მყოფ მუშებისავე წყალობით.

რაც შეეხება თაქთაქიშვილის ბუღალტერიას, ამაზე დაწვრილებითი ანგარიში და გამოძიება მოხდება კომისიის მიერ. მე კი დაახლოვებით უკვე გიპასუხეთ „კომუნისტის“ 277 ნომერში.

ეხლა, ვის უფრო მეტი ღვაწლი მიუძღვის გომის ქარხნის აღდგენაში, ზოდელავასა თუ დღევანდელ ტრესტის მეთაურებს, ესეც გამოირკვევა დაწვრილებით.

ბოლოს ერთი სასაცილო და თავხედური სიცრუე, რომელსაც ჭკუათმყოფელი ადამიანი არ ჩაიდენდა:

პირველ წერილში აცხადებდენ, რომ თითქოს მე ვიყავი ყოფილი მეპატრონე ქარხნისა.

შემდეგ ამის საბუთები რომ ვერა ნახეს, მოჩმახეს უმსგავსო ტყუილი, ვითომ მე ოდესმე ვისმეს წავდავებოდე, რომ ჩემი ცოლის ქარხანა მიისაკუთრეს ზოდელავამ და ტუსკიამ, ამაზედ ვითომ საჩივრებიც აღმიძრავს მთავრობის წინაშე.

ეს არის მტკნარი სიცრუე და სიყალბე, რომლის დამტკიცებაც მოეთხოვება მოქ. ავადკოვს.

ამ ცხრა თვის წინად მე ცოლი სიზმრადაც არ მომელანდებია და თურმე მე ცოლის სახელით ვიღაცას უშველებელ ქარხანასაც კი ვდაობდი.

თუ ოდესმე რამე ნივთიერი დამოკიდებულება მქონია მე გომის ან სხვა ქარხანასთან, ამას ალბათ დამიმტკიცებთ.

თქვენ ბრძანებთ „საბჭოთა ხელისუფლება მტკიცეა, მტკიცე, ისე როგორც არასდროს“. ამას მეც ვხედავ ჩემო კეთილო, მაგრამ ამითი მტკიცეა თუ არა ტრესტის გამგეობის მდგომარეობა, ამისი კი რა მოგახსენოთ.

მე დაწვრილებითი მასალები თქვენს შესახებ წარდგენილი მაქვს ინსპექციის მიერ დანიშნულ სარევიზიო კომისიაში.

თქვენ ჩემი გამოსვლა თქვენს წინააღმდეგ გეჩვენებათ რაღაც ანგარებათ.

მე გამოვდივარ, როგორც შეგნებული მოქალაქე ყოველგვარ ბოროტების წინააღმდეგ, როცა ამისი ნამდვილი საბუთები ხელში მიჭირავს.

სხვათა შორის გაგახსენებთ ჩემს კამპანიას მენშევიკების დროს ყოფილ მინისტრების საბაშვილისა და ივ. ლორთქიფანიძის წინააღმდეგ, რომელსაც მოჰყვა სერიოზული შედეგი.

ეს იკმარეთ ახლა. დანარჩენს დაწვრილებით გამოიძიებს საგანგებო კომისია და ის დასდებს მსჯავრს ამ საქმეს.

დავ. მეტრეველი.

---

*) ვსპობთ ამ საგანზე კამათს. საგანგებო კომისიის დასკვნა, რომელიც არჩევს საქმეს გამოქვეყნებული იქნება გაზეთებში თავის დროზე.

რედ.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის რიგების გაწმენდის შედეგები

(ცენტრალურ გამწმენდ კომისიის ანგარიშიდან).

ზუგდიდის მაზრა.—სამაზრო პარტიული ორგანიზაციები გაწმენდის შემდეგ შემცირდენ 295 კაცით ანუ ორგანიზაციის შემადგენლობის 39,8 პროც.-ით.

გამორიცხულთა განაწესრიგება პარტიიდან გასვლის მიზეზების მიხედვით შემდეგია: გამორიცხულია 278, მექანიკურად გავიდა პარტიიდან (გაწმენდის ინსტრუქციის 10 მუხლის თანახმად)—16, და დროებით გამორიცხულია 1. ამგვარად პროცენტულად გამორიცხულთა რიცხვი უდრის 94,0, მექანიკურად გასულთა—5,4 პროც., და დროებით გამორიცხულთა 0,6 პროც.

პარტიიდან გამორიცხულთ განაწილება მათი სოციალურ მდგომარეობის მიხედვით შემდეგია:

	გამორიცხულია	დროებ.	მექან.	სულ.
მუშები		—	—	—
ხელოსნები	25	—	1	26
გლეხები	206	1	8	215
მოსამსახურეები და სხვა	47	—	7	54
სულ. . .		1	16	295

გამორიცხვის მიზეზების მიხედვით. როგორც არა კომუნისტური, საეჭვო ელემენტი—54, პარტიაში კონტრრევოლიუციონური მიზნით შესვლის გამო—7, მექრთამეობისათვის—4,—ყოფილი პოლიციელები და სხვა. თეთრებთან სამსახურისათვის—8, ბანდიტიზმისა და ქურდობისათვის—18, ბანდიტების დაფარვის—3, სამხედრო ბეგარის თავიდან აცილებისა და პარტიულ დეზერტირობისათვის—49, კარიერიზმისა საკუთარი სარგებლიანობისათვის პარტიაში შესვლის გამო—4, ლოთობის და უხეში მოპყრობისათვის—3, მორწმუნეობისათვის—17, ნაციონალიზმისა და შოვინიზმისათვის—2, თანამდებობითი ბოროტმოქმედებისა და თვით მომარაგებისათვის—11, სპეკულიაციისათვის—8, უზნეო მოქმედებისა და პროსტიტუციისათვის—1, პარტიულ სტაჟის გადამეტებისა და ყალბი ცნობების მიწოდებისათვის—2, სხვისი შრომის ექსპლოატაციისათვის—2, პასიური წევრობისათვის (ზედმეტი ბალიასტი)—3, პარტიულ ვალდებულებათა შეუსრულებლობისა და პარტიულ დისციპლინის დარღვევისათვის—82, მიზეზის აღუნიშნავად—6, სულ 279 კაცი, მექანიკურად გავიდა 16.

პარტიის ცენტრალური გამწმენდი კომისია.

საქ. კომპარტიის ცეკას მუშაობა ოქტომბერში*)

მუშაობა ტრანსპორტზე საანგარიშო დროში ტრანსპორტის კომუჯრედების რაოდენობა უდრიდა 27, ამ რიცხვში არ შედიან უჯრედები პირველ რაიონისა, სახელოსნოს დეპოსი, სადაც ოქტომბერში ითვლებოდა 13 სატრანსპორტო კომუჯრედები. ამასთან ერთად მეორე რაიონში—4 კომუჯრედი, რომელთაგან 1 ადგილ. ტრანსპორტისა, 1 ტრამვაის მუშებისა და ორი სამხედრო ტრანსპორტ. უჯრედები. სულ საანგარიშო თვეში ითვლება 45 სატრანსპორტო კომუჯრედი.

აღნიშნულ უჯრედებში ოქტომბერში ირიცხებოდა 568 წევრი და კანდიდატი. ამ რიცხვში არ შედიან წევრები და კანდიდატები შემდეგი უჯრედებისა: ადგილობრივ ტრანსპორტის, ტრამვაის მუშების და ორი სამხედრო უჯრედებისა.

რიცხვი კანდიდატებისა აღემატება 250 კაცს.

ფიზიკურათ მომუშავე კომუნისტების რიცხვი ჯერ გამორკვეული არ არის, დაგზავნილია ცირკულიარი, მაგრამ ცნობები ჯერ არ მიუღიათ. საერთო რიცხვი მუშა-მოსამსახურეებისა რკინის გზის ხაზზე, სადაც იმყოფებიან აღნიშნული უჯრედები—აღწევს 17 ათას კაცამდე.

სატრანსპორტო ქვე განყოფილების მიერ დაგზავნილია ცირკულიარული წერილი, რომელშიაც ნაჩვენებია, რომ შეძლების და გვარად გადიდებულ იქნეს დაზგასთან მომუშავე კომუნისტების რიცხვი. შედეგები ჯერ გამორკვეული არ არის.

გეგმა შეწონილი და ნაყოფიერი მუშაობის საწარმოებლათ, ხდება შემაგრება ყველა უჯრედებზე პასუხისმგებელ ორგანიზატორებისა. ეს წესი ჩატარებულია უკვე ყველა უჯრედებში.

ქვე-განყოფილებას აქვს მტკიცე კავშირი ტრანსპორტის უჯრედებთან, განსაკუთრებით ისეთებთან, რომელნიც იმყოფებიან რკინის გზის ხაზზე. ეს კავშირი გამოიხატება, როგორც წერილობით ფორმაში, აგრეთვე უშუალო ხელმძღვანელობაში პარტ. უჯრედებისა ც. კ.-ს ტრანსპორტიული ქვე-განყოფილების ინსტრუქტორის მიერ.

მომავლისათვის ქვე-განყოფილებას განზრახული აქვს დაამყაროს უფრო მუდმივი და მჭიდრო კავშირი ტრანსპორტ. კომ უჯრედებისათვის ყოველთვიური ინფორმაციული ბარათის („გუდოკის“) გამომუშავებით, ტრანსპორტზე მომუშავეების (პასუხისმგებელ მდივნების) თათბირის მოწყობით და სხვ.

ამას გარდა, მუშაობის უფრო ჩამოსაყალიბებლათ ქვე-განყოფილება აუცილებლათ სთვლის ორ კვირაში ერთხელ მაინც მოწყობილ იქნას თათბირი შემდეგი წარმომადგენლობისა: ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტისა, სატრანსპორტო ქვე-განყოფილებისა, ამიერ-კავკასიის რკინის გზების პროფესიონალური კავშირებისა, ცეკას სატრანსპორტო ქვე-განყოფილებისა, ამიერ კავკასიის რკინის გზების სამმართველოს პოლიტ სამდივნოსი, საზღვაო ტრანსპორტისა, ადგილობრივ ტრანსპორტის ფრაქციის ბიუროსი, თბილისის უბნის პროფკავშირის და სხვა წარმომადგენლობებისა.

დამოკიდებულება ადგილკომებთან ნორმალურია.

პოლიტიკური უცოდინარობის სალიკვიდაციოთ მოწყობილია პოლიტიკური წრეები, რომელთა რიცხვი 10-დე აღწევს, ქვე (განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს გაამრავლოს ასეთი წრეები, ვინაიდან მათში უდიდესი საჭიროება არის; მაგრამ საქმეს აფერხებს მომზადებული ხელმძღვანელების საკმარისი კადრის უქონლობა.

ტრანსპორტზე მომუშავე ქალების პროცენტი ძალიან ცოტაა. გაცემულია განკარგულება, რათა ქალთა განყოფილების ერთ-ერთ ინსტრუქტორთაგანს დაევალოს აწარმოოს მუშაობა ტრანსპორტზე მომუშავე ქალთა შორის.

თითქმის ყველა აღნიშნულ უჯრედებში გამოყოფილია პასუხისმგებელი კორესპონდენტები ტრანსპორტელების ცხოვრებისა და მუშაობის გასაშუქებლად, მაგრამ მათი მუშაობა ჯერ ვერ აღწევს სასურველ შედეგებს. მომავლისათვის ქვეგანყოფილებას მოუხდება მიაქციოს ამას სერიოზული ყურადღება და უვარგისი კორესპონდენტები შეძლების დაგვარათ შესცვალოს საქმიანი და შრომის უნარიანი მომუშავეებით, აგრეთვე უნდა გამოყოფილ იქნას კორესპონდენტები მოსკოვის „გუდოკისათვის“ რკინის გზის 13 სადგურებში მუშაობს წიგნთ-საცავ სამკითხველოები, რომელთა სახელმძღვანელოდ კომუჯრედებიდან გამოყოფილია პასუხისმგებელი ხელმძღვანელები.

ჩვეულებრივათ კომუჯრედის ერთ-ერთ წევრს დავალებული აქვს გაადიდოს რიცხვი ხელის მომწერლებისა ჩვენი პარტიულ ორგანოზე, აგიტაცია-პროპაგანდის საშუალებით.

ოქტომბრის განმავლობაში მოწყობილია შემოვლა და გამოკვლევა მუშაობისა 12 რკინის გზის კომუჯრედებში.

აღნიშნულ კომუჯრედებში მოწყობილია სხდომები სატრანსპორტო ქვე-განყოფილების ინსტრუქტორის მონაწილეობით.

სხდომაზე ირჩეოდა შემდეგი კითხვები: 1. მნიშვნელობა და მდგომარეობა ტრანსპორტისა და როლი კომუნისტებისა, 2. დამოკიდებულება ტრანსპორტის კომუჯრედებისა სამაზრო პარტკომებთან, 3. დამოკიდებულება ტრანსპორტის კომუჯრედებისა ადგილკომებთან და რკინის გზის საუბნო პროფკავშირებთან, 4. კულტურული მუშაობა ტრანსპორტზე და 5. ბრძოლა მექრთამეობასთან.

ამას გარდა მოწყობილია საჯარო სხდომები კომუჯრედებისა რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების მონაწილეობით, რომელზედაც გაკეთდა მოხსენება შემდეგ თემაზე: მომენტი და პოლიტიკური კრახი მენშევიკებისა. მომხსენებლათ გამოდიოდა ინსტრუქტორი სატრანსპორტო ქვეგანყოფილებისა. ყველა კითხვებზე გამოტანილია შესაფერი დადგენილებები და რეზოლიუციები; ამასთან ერთად გამოყოფილია ყველა კომუჯრედებიდან მექრთამეობასთან საბრძოლველად შესაფერი კომისიები.

საერთოდ და მთლიანათ, საანგარიშო პერიოდში სატრანსპორტო ქვეგანყოფილების მიერ გაკეთებულია ბევრი რამ, მუშაობის სათანადო დონეზე დასაყენებლათ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეადგენს საქმის მხოლოდ ნაწილს. წინ გვიძევს კიდევ აუარებელი სამუშაო, არსებული ნაკლების გამოსასწორებლათ და შესავსებათ და მუშაობის ნორმალური კალაპოტში ჩასაყენებლათ.

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 287.

ეკონომიური ცხოვრება

მდგომარეობა ტფილისის ბაზარზე

ოქროს და უცხოეთის ვალიუტის კურსის აწევის გამო ბაზარზე ერთბაშათ აიწია როგორც საიმპორტო, ისე ადგილობრივ საქონლის და პროდუქტების ფასმა. ფასები მთელი დღის განმავლობაში იცვლებოდა.

ასე მაგალითად შაქარი რაფინადი 12 საათამდე ღირდა 60 ათასი მანეთი გირ., ხოლო 12 საათის შემდეგ ავიდა 90 ათას მანეთამდე. გარდა ამისა იმ ფირმებმა, რომელნიც მოედანზე იმყოფებიან და შეიტყვეს ვალიუტის და ოქროს ფასის ცვლილება, დაუყოვნებლივ ასწიეს ფასები.

სხვა ქუჩების მოვაჭრეები ვერ ასწრებდნენ საქონლის ფასების მომატებას. ფასის აწევა ადგილობრივ ხორბალს და ფქვილსაც დაეტყო, მოიმატა ყუბანის ფქვილის და ადგილობრივ მარმარილოს საპონის ფასმაც. განსაკუთრებით აიწია შაქრის ფასმა, დიდი მოთხოვნილების გამო ფასები შემდეგია: ყუბანის ფქვილი ფუთი 500-550, სეიანკა—440-450, ადგილობრ.—270 300, სიმინდის ფქვილი—150-160, ადგილობრივი ფქვილი—250-260, ქერი—130-140, შაქარი რაფინადი ყუთი—3 ტომ.—9-10, ამერიკული შაქრის ფხვნილი ფუთი—2400 მ. და მეტი, ჰოლანდიის ნარმა ნაჭერი—5900 6500, რუსული ნარმა არშინი—90, ჩითი საზღვარგარ იარდი 23-36 პიასტრი, ინგლისური შევიოტი მეტრი—7 ოსმალ ქაღალდის ლირა, სატინა ერთგანიანი მეტრი—50-60 პიასტრი, სატინა ორგანიანი—120-130 პიასტრი, საპონი ტოლე ფუთი 1200, საპონი მარმარილო ფუთი—1000-1400.

ტფილისის ბირჟა

ტფილისი. 14 დეკემბ. არა ოფიციალური კურსი: ოქროს ათი მანეთიანი 2 800 000—3.000 000 მ. დღის სამი საათის შემდეგ 2 700.000 მ. გირვანქა სტერლინგი 2 200 000—2 400 000 დღის სამი საათის შემდეგ 2.100 000 2 200 000, ქაღ. ოსმ. ლირა—250 000 260 000 და 240.000—250 000 მან. დოლარი 510 000 520 000; რ. ს. ფ. ს. რ. ფულის ნიშნები 100 000 (1922 წლის ფულის ნიშნებით ასი მანეთი) 17—18.

ბათომის ბირჟა.

ბათომი. 15 დეკ. ბათომის ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი. დოლარი—145—180 პ. გირვანქა სტ.—805—815 პიასტრი. ოსმალური ოქრ. ლირა—760—775 პიასტრი. ოქროს 10 მანეთიანი—1060—1070 პიასტრი. 20 ფრანკი—225—235 პიასტრი. 20 იტალიის ლირა—140—150 პიასტრი. ოსმალური ქაღ. ლირა—260,000—270,000 ქარ. ბ.

არაოფიციალური ბირჟა: დოლარი—180—184 პიასტრი. ოქროს 10 მანეთიანი—1060—1080 პ. ოსმალური ლირა— 290—300,000 ქართული ბონებით.

ახალი მიწის კანონის გატარება

ახალქალაქის მაზრა. მაზრამ ორჯელ განიცადა ოსმალების შემოსევა 1918 და 1920 წლებში და დღესაც სამწუხარო სურათს წარმოადგენს. შენობების მეტი ნაწილი დანგრეულია, მოსახლეობა განადგურებულია. მოსახლეობის მიწით თანასწორათ უზრუნველყოფის საქმეში მომხდარ დიდ ცვლილებებმა აიძულა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი მიექცია ამ მაზრისთვის დიდი ყურადღება. ამა წლის ივნისში მაზრაში იქნა მივლინებული 6 მიწის მზომელი მიწის მოწყობის მეთაურობით. იმ დიდი გაუგებრობის გამო, რომელიც არსებობდა მკვიდრ მცხოვრებ და მოსულ მეცხვარეებს შორის, მუშაობა იქნა მიმართული იმ რაიონების სასწრაფოთ მოწყობისაკენ, რომელნიც შეიცავდენ საძოვარ მინდვრებს. ერთი შემთხვევის გამოკლებით კომისიამ შესძლო მცხოვრებლებში გამოეწვია სიმპატია და ხელის შეწყობის სურვილი რეფორმისადმი. მუშაობა ჩატარდა სასურველად და 15 ივნისიდან 1 დეკემბრამდე მოწესრიგებული და გამოკვლეული იქნა:

ბარალეთის რაიონში. 34 სოფელი 35,672 დესეტინა მიწის სივრცით. იმ პირებს რომლებსაც ნორმაზე მეტი მიწა აღმოაჩნდათ, ჩამოერთვათ 74 ნაჭერი 1379 დესეტინა მიწის სივრცით. ნორმის ფარგლებში დარიგებული იქნა 1426 ნაჭერი 24,606 დესეტინა მიწის სივრცით და კულტურული მიზნით გადადებული იქნა 38 ნაჭერი 502 დესეტინა მიწის სივრცით.

ბოგდანოვის რაიონში. 16 სოფელი, რომელთა საერთო მიწის სივრცე უდრის 26,465 დესეტინას მცირე და უმიწაწყლო გლეხებისთვის დასარიგებლად ნორმაზე მეტის მქონე პირებს ჩამოერთვათ 41 ნაჭერი მიწა—2971 დესეტინა. ნორმის დასარიგებლად გადადებულია 185 ნაჭერი, 25845 დეს., კულტურული მიზნებისთვის და აგრონომიული ხასიათის საჭიროებისათვის გადადებულია 32 ნაჭერი, 54 დეს. სივრცით.

გუმბურდინის რაიონში. 18 სოფელი მიწის სივრცის 21599 დესეტინით. ჩამორთმეულია—7 ნაჭერი, 2442 დეს. სივრცის. გადადებულია გასანაწილებლად ღარიბ გლეხობაზე 588 ნაჭერი, 19377 დესეტინა სივრცის, და კულტურული მიზნით 48 ნაჭერი, 54 დეს. სივრცის.

ახალქ. მაზრა. სულ მაზრაში მოწყობილია 68 სოფელი, რასაც უჭირავს 83,736 დეს. 18,096 კომლით და 49,047 სულით ორივე სქესისა.

ამას გარდა მოეწყო 4 ახალი სოფელი, რომლებსაც შეადგენენ გორის ბორჩალოს და ბორჯომის მაზრებიდან გადმოსახლებულნი უმიწაწყლონი და მცირე მიწის მქონეები და აგრეთვე არდაგანის ოლქის ლტოლვილები, რომლებმაც თავიანთ ახლად დასახლებულ ადგილს „ფილიპოვკა“ უწოდეს ცაკის თავმჯდომარის მახარაძის პატივსაცემლად. მახარაძემ პირადად მიიღო მონაწილეობა ამ ლტოლვილთა საჩქაროდ დასახლებაში. დაწყებულია და ჯერ კიდევ დაუმთავრებელი მუშაობა 4 სოფლის მოსაწყობად 1776 დეს. სივრცეზე, რომელთა დამთავრებაც უნდა მოხდეს პირველ რიგში მომავალი წლის მუშაობის დაწყების დროს.

მუშაობა მაზრაში შეწყდა ზამთრის დაწყების გამო.

ქრონიკა

ქალაქის აღმასკომში.

— **ქალაქის აღწერის შესახებ.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა ყველა მასალა ქ. ტფილისის აღწერის შესახებ გადაეცეს საგანგებოთ დასამუშავებლად ქალაქის სტატისტიკურ ბიუროს. აგრეთვე დადგენილ იქნა დაჩქარებულ იქნეს ხსენებული მასალის დამუშავება და ცნობაში მოყვანა. წინადადება მიეცა ქალაქის ყველა განყოფილებებს გაეცნონ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს პროგრამას და მონაწილეობა მიიღოს აღწერის მასალების საჭიროთ დამუშავების საქმეში.

— **შუამდგომლობა ფოსტა-ტელეგრაფის სარგებლობის შესახებ.** პრეზიდიუმმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რომ სამმართველოს განყოფილებას მიეცეს უფლება უფასოთ ისარგებლოს ფოსტა-ტელეგრაფით სამსახურის საქმეებზე.

— **რკინის გზებიდან გამოცემული ავადმყოფების ექიმობის შესახებ.** ამავე სხდომაზე პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ რკინის გზებიდან უფასოთ მიღებული იქნენ მხოლოდ ეპიდემიური ხასიათის ავადმყოფები, არა ეპიდემიურ ხასიათის ავადმყოფების უფასოდ ექიმობას რესპუბლიკის რკინის გზიდან გამოგზავნილთ აღმასკომი ვერ იკისრებს, მხოლოდ ასეთები მიღებულ უნდა იქნან საექიმოთ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ანგარიშზე.

— **ამხ. დუმბაძის გამგზავრება.** დუმბაძის ბაქოში ყრილობაზე დასასწრებლად გამგზავრების გამო, მის ადგილზე დროებით დანიშნულია ამხ. გიგო კიკნაძე.

— **მივლინება მოსკოვში.** სახალხო განათლების განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ჯაფარიძე ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით მივლინებულია მოსკოვში.

საზოგადოება „ჩემო“-ში

— **შავი ქვის გაზიდვა.** აქ დღეებში ფოთში მოვლიან შავი ქვისათვის ორი დიდ გემს—„უიმბლედონ“ და „კუინ ალექსანდრა“ ს. პირველი ეკუთვნის ბულონის საზოგადოებას, მეორე ინგლისის. გემები წაიღებენ დაახლოებით 6300 ტონას და 500 ტონას ფხვნილ ნახშირს. ამ ჟამად ფოთის ნავთსადგურში შემდეგი გემები გვიდგნ: „რუბელაინა“ ინგლისში, წაიღო 4000 ტონა შავიქვა. „ფრანცი“ ბათომის ნავთსადგურიდან გავიდა ინგლისში, წაიღო [illegible] ტონა მარგანეცი.

— **ფინანსიური საკითხი.** საზოგადოება „ჩემოში“ შემოდის განცხადებები სხვა და სხვა ფირმების, რომლებიც მოითხოვენ გაყიდულ შავიქვის კუთვნილ ფასს, რაიც საჭიროა წყალდიდობის მიერ დაზარალებულ მაღაროების შესაკეთებლად. მაგრამ საზოგადოება იძულებულია [illegible] უქონლობის გამო, უარი უთხრას აღნიშნულ ფირმებს დაკმაყოფილებაზე, რაც გამოწვეულია შავიქვის საზღვარ გარეთ გატანის შემცირებით.

— **„ჩემოს“ თავმჯდომარე.** საზოგადოება „ჩემოს“ თავმჯდომარეობის მოვალეობის შესრულებას უკვე შეუდგა კ. გოდლმაძე.

შრომის კომისარიატში

— **ინსტრუქტორების მივლინება პროვინციებში.** შრომის კანონების დაცვის განყოფილებამ ნოემბერში სპეციალურად პროვინციებში გაგზავნა შრომის მთავარი ინსპექტორები ადგილობრივ ინსპექტორებისათვის რევიზიის გასაწევათ და ინსტრუქციების მისაცემათ. ინსპექტორები გაიგზავნენ ბათომში, ფოთში, ქუთაისში და ტყიბულში.

— **საკონფლიქტო კომისიის მეორე სესია.** შრომის ინსპექციიდან და კავშირებიდან უამრავ კონფლიქტების დაგროვების გამო დადგენილია მოეწყოს საკონფლიქტო კომისიის მეორე სესია, რომლის სხდომები დანიშნულია კვირაში ორჯერ. სხდომები მოხდება ღია კარებით.

— **მომრიგებელი კამერები და სამედიატორო სასამართლოები.** რადგან სათანადო კანონის უქონლობით ფერხდება მუშაობა, შრომის სახალხო კომისარიატმა საჭიროდ სცნო შრომის სასამართლოს კანონიდან ცალკე კანონის გამოყოფა მომრიგებელ კამერების და სამედიატორო სასამართლოების შესახებ და მისი გამოქვეყნება, სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცების შემდეგ.

— **სატარიფო კამერა.** შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებულია უმაღლეს სატარიფო საბჭოს სატარიფო კამერათ შეცვლის პროექტი.

სხვა და სხვა.

— **ამხ. კამოს სახელობის ბავშვთა სახლის ფონდის გასაძლიერებლად** შემოვიდა ქალაქის აღმასკომის სალაროში 8 დეკ. 1922 წ. მე 4 რაიკომის იაჩეიკის № 18 „ჩონტუ“-სგან 3049000 მ.

— **ახალი წიგნი.** გამოვიდა ინჟინერ ვ. კაკაბაძის წიგნი „საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეები“. რომელიც გამოსცა საქართველოს ტეხნიკურმა საზოგადოებამ. წიგნი შეიცავს 50 გვერდს, რომელშიაც შეტანილია ძვირფასი მასალები შავი ქვის მრეწველობის შესახებ ჩვენში, ტყვარჩელის ნახშირის, ნავთის, სპილენძის, თეთრი ნახშირის და სხ. შესახებ. წიგნს თან დართული აქვს სტატისტიკური მასალა საქართველოს იმ მაღაროების შესახებ, რომელთაც ათიათას ცხენის ძალაზე მეტი სიმძლავრე აქვთ.

შეცდომის გასწორება.

გაზეთ „კომუნისტი“-ს № 284 ში მოთავსებულია ჩემი წერილი: „ვეფხი ტფილისის მიდამოებში“ ამ წერილში ადგილი ჰქონდა შემდეგ შეცდომებს: „სოფ. ლელობანი“ უნდა იყვეს „სოფ. ლელობი“. Felis partus tubianus valen septeutrioriales უნდა იყვეს: Felis parbus tullianus valenc septentrionalis.

ხელოვნება

— **შალვა დადიანის იუბილე.** პარასკევს, 7 ნოემბერს განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ სახელოვნო მთავარ კომიტეტის კაბინეტში მისივე თაოსნობით შესდგა შალვა დადიანის იუბილეს მომწყობი საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრნენ კულტურულ, საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენელნი. კრებამ დაადგინა: შალვა დადიანს, მისი სასცენო და სალიტერატურო ასპარეზზე 30 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად გაუმართოს იუბილე 2 თებერვალს.

— **შალვა დადიანის ნაწერების გამოცემა.** ამავე კრებამ დაადგინა, აღიძრას შუამდგომლობა განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა შალვა დადიანის იუბილეს დღეს გამოიცეს მისი ნაწერების ერთი ტომი.

— **საიუბილეო კომიტეტის არჩევა.** აღნიშნულ სხდომაზე არჩეულ იქნა საიუბილეო კომიტეტი 6 კაცისაგან. კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა გრიგოლ რობაქიძე. ამ დღისათვის გამოვა საიუბილეო კომიტეტის მიერ მოწოდებები და შემუშავებული იქნება სათანადო გეგმა იუბილეის ბრწყინვალეთ ჩატარებისათვის.

— **პავლე ინგოროყვას მოხსენება.** პავლე ინგოროყვას მოხსენება „რუსთაველის ბიოგრაფია“, რომელიც უნდა გამართულიყო კვირას, 10 დეკემბერს, გამართება კვირას 18 დეკემბერს, ხელოვანთა სასახლეში.

— **„ოქტომბრის რევოლიუციის“ სახელობის კლუბი.** ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების დელეგატებისათვის, ოქტომბ. რევ. სახელობის არმიელთა კლუბში 12 დეკემბ. გაიმართა დიდი რევოლიუციონური შინაარსის საღამო. წარმოდგენის დაწყების წინ სიტყვა წარმოსთქვა დღევანდელი მდგომარეობის შესახებ ამხ. ერქომაიშვილმა. შემდეგ წითელ-არმიელ სცენის მოყვარეთა მიერ ამხ. კობახიძის რეჟისორობით წარმოდგენილ იქნა ახალი რევ. პიესა „წითელი ხაზები“. აგრეთვე წაკითხულ იქნა ლექსები. იყო სიმღერა და სხ. ხალხი დიდძალი დაესწრო. ამავე კლუბთან არსებობს სამეცნიერო-სალიტერატურო სექცია, დრამატიული, მუსიკალური, სააგიტაციო და სხ.

— **ახალი პიესა.** ია ეკალაძემ დასწერა მეორე ნაწილი თავისი რევოლიუციონური პიესის: „ნომერი 31 ჯვრით“.

— **რუსთაველის თეატრი.** შაბათს, 16 დეკემბერს, რუსთაველის თეატრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

ყოფილი „ტოლეს" საპნის ქარხანა

ამ ქარხნის მუშები გონებრივათ ძლიერ ჩამორჩენილნი ვართ. ჩვენში კულტურულ განმანათლებელი მუშაობა სათანადოდ ვერ სწარმოებს, ამ მხრივ ქარხნის კომიტეტის საქმიანობა მოიკოჭლებს. კარგი იქნება, კავშირი მაინც არ დაგვტოვებდეს უყურადღებოთ და ჩვენში მეტ კულტურულ მუშაობას გააჩაღებდეს. ქარხანაში ამ ჟამად გაცხოველებული მუშაობაა. ქარხანა ამზადებს ყოველდღე 120—140 ფუთ ტუალეტის საპონს და 70—80 ფუთს სარეცხ საპონს, ჩვენი წარმოების ხასიათი ისეთა, რომ სიწმინდის დაცვა შეუძლებელია. ამას ისიც დაუმატეთ, აბანოს საქმე მოუწესრიგებელია. ორ კვირაში ერთხელ ძლივსღა ველირსებით აბანოთი სარგებლობას. ხოლო ჩვენი დარგის მუშებისათვის აბანო საჭირო კია კვირაში თუ ორჯერ არა, ერთხელ მაინც. სამუშაო შენობას არა უშავს. შრომის ინსპექცია ყურადღებას არ გვაკლებს და ხშირათ გვესტუმრება ხოლმე ქარხანაში.

აქაური.

პოსტანოვის სადურგლო

ამ სადურგლოში მუშაობას ეწევა 7 კაცი. მუშები გონებრივათ ძლიერ ჩამორჩენილი არიან. მათი მატერიალური მდგომარეობა ძლიერ ცუდია. იმყოფებიან კოლექტიურ ხელშეკრულებაში. მუშების შეუგნებლობის გამო მათთვის არა ხელ საყრელი ხელშეკრულება იქნა დადებული. ამ მოკლე ხანში ხელშეკრულებას ვადა გაუდის და მუშების ინტერესი მოითხოვს ახალ ხელშეკრულებას წინდახედულად მოეპყრან და ეც დონ, კვლავ მოტყუებულნი არ დარჩნენ; კარგი იქნება კავშირი ხელმძღვანელობას გაუწევდეს ამ საქმეში. არც ბინის მხრივ არიან მუშები კარგ პირობებში. ცხოვრობენ სარდაფებში და ნესტიან ოთახებში. ზოგიერთ საცხოვრებელ ბინებში ჭერიდან წყალიც კი ჩამოდის. მუშების ტანისამოსი საშინლათ გაწვერიანებულია. ჭუჭყში და წვირეში უხდებათ მუშაობა.

გამვლელი.

რკინის-გზელთა ცხოვრებიდან

რკინის გზის მუშების მდგომარეობას არა უშავს. მატერიალურათ ცოტათ თუ ბევრათ უზრუნველყოფილნი ვართ. ამ ჟამად ჩვენ არ გვიხდება ოჯახიდან ბაზარზე უკანასკნელი ნივთების გატანა, როგორც ეს წინათ იყო. საბჭოთა მთავრობა ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესებას სათანადო ყურადღებას არ აკლებს, მიუხედავათ ასეთი ყურადღებისა, ჩვენ დაწესებულებში დეფექტებს მაინც აქვს ადგილი. ნოემბერში ჯამაგირი 100 პროც. გაგვიდიდეს, მაგრამ სამაგიეროთ ულუფის სახით გვექვითება საგრძნობი თანხა. გვირიგებენ სურსათ სანოვაგეს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბაზარზე უფრო იაფ ფასებში შეგვეძლია შევიძინოთ. შვილების სწავლა აღზრდის საქმეშიაც რკინის გზელის ბედი უწყო მდგომარეობაშია. კანონის ძალით, ვინც მეცხრე კატეგორიამდის ირიცხება, მათი შვილები სწავლის ფასიდან თავისუფალნი არიან. ზოგიერთი სკოლების პედაგოგიური საბჭოს უთავბოლობის გამო, ჩვენთვის ეს კანონი მიუწდომელი გახდარა. ასეთი გარემოება საშუალებას გვართმევს შვილების აღზრდის საქმე წესიერათ ვაწარმოვოთ.

რკინის გზელი.

თავხედი რევიზორი

ბორჯომის მუშა მოსამსახურენი სათბობ მასალის მხრივ უკიდურეს გაჭირვებას განვიცდით. ბორჯომში არსებობს სათბობ მასალის საწყობი, სიდანაც მუშა-მოსამსახურეებს იაფ ფასებში შეეძლევა სათბობი მასალა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მისი თვისება ძლიერ ცუდია. ნახშირი ისეთი ფხვნილია, რომ საოჯახოთ მისი გამოყენება შეუძლებელია. საწყობის გამგემ განუცხადა რევიზორ ცარიკოვს, რომ საჭიროა ნახშირის გაცრა, ცარიკოვი გულგრილად შეხვდა ამას და განაცხადა: „რომ გაუჭირდებათ, მუშები გაუცრელსაც მშვენივრათ წაიღებენო". ბ-ნ ცარიკოვს უნდა მოეხსენებოდეს, რომ ჩვენ, მუშები, დაბალი ლობე ნუ ვგონივართ. ყველასაგან დაწუნებულ ნახშირს ჩვენ ვერ გავასაღებთ. ვურჩევთ თავხედ რევიზორს მეტის პატივისცემით მოექცეს მუშათა უფლებებს.

მუშა.

წერილი სამტრედიიდან

სამტრედიის სადგურის ტელეგრაფის მუშებს ძლიერ ცუდ პირობებში გვიხდება მუშაობა. სადგურში ვმუშაობთ 11 კაცი. ჩვენს გაჭირვებას ხელს უწყობს სამუშაო ოთახის არა ჰიგიენური მდგომარეობა. სადგურის ტელეგრაფი მოთავსებულია ერთ პატარა ოთახში, სადაც სული გვეხუთება სივიწროვის გამო. ეს ჩვენი მოვალეობის ასრულებაში ძლიერ გვიშლის ხელს. ისეთი მცირე ოთახია, რომ ტელეგრაფისტებს მიბრუნ-მობრუნებაც კი არ შეგვიძლია შიგ.

ამა წ ნად ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია საუწყო კავშირმა და დაადგინა ტელეგრაფის შესაფერ შენობაში გადატანა, მაგრამ დადგენილებას განხორციელება ვერ ეღირსა და დღესაც იმავ შენობაში ვიმყოფებით. რას უნდა მიეწეროს ასეთი დაუდევრობა ვერ გაგვიგია. იმედია შრომის ინსპექცია მაინც არ მოგვაკლებს ყურადღებას, მიიღებს ჩვენს ასეთ გაჭირვებას მხედველობაში და ჩაგვაყენებს შრომის ნორმალურ პირობებში.

ტელეგრაფზე მომუშავე.

ასოთ-ამწყობების მდგომარეობა

ასოთ-ამწყობების მდგომარეობა, სხვა დარგების მუშებთან შედარებით ვერ არის კარგ პირობებში ჩაყენებული, თუმცა ის უნდა იყოს ყველაზე უფრო უზრუნველყოფილი და ყურადღების ღირსიც არის, რადგან ასოთ ამწყობს უხდება როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი მუშაობა. ამასთანავე ეს დარგი ცუდად მოქმედებს ჯანმრთელობაზე. რვა საათი (ხელების გარდა) უმოძრაო დგომა და ლითონის მტვერის სუნთქვა აღუნებს და აუძლურებს ადამიანის სხეულს, რისი შედეგიც არის ჭლექით დაავადმყოფება, რევმატიზმი, გულის ფრიალი და სხვა. ამ დარგის მუშები უსათუოთ უნდა იკვებებოდნენ თავის დროზე და ნოყიერ საჭმელით. მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ამ დარგის მუშები არც ჰიგიენურათ და არც მატერიალურათ არ არიან უზრუნველყოფილნი. შედარებით ბაზრის ფასებთან ჯამაგირი ვერ აკმაყოფილებს მუშის უპირველეს მოთხოვნილებებსაც. 3—4 მილიონით თვეში (ისიც ასეთ პირობებში) შეუძლებელია თავის მარჯვენაზე დამყარებულმა მუშამ ოდნავ ნორმალურად იცხოვროს და აცხოვროს თავისი ოჯახი. აღნიშნულ ჯამაგირის რაოდენობა პირველ დეკემბრიდან გადიდებული იქნა მხოლოდ ათასი მანეთით კატეგორია, მაგალითად თუ 7 კატეგორია ღებულობდა, ვსთქვათ 3 მილიონს, ეხლა მიიღებს 3 მილიონს და 7 ათას მანეთს. ეს იმ დროს, როცა ბაზრის ფასებმა კიდევ უფრო საგრძნობლათ აიწია.

აგრეთვე გვინდა მივაქციოთ სათანადო ორგანიზაციების ყურადღება ჩვენი მუშაობის ჰიგიენურ პირობებზე, განსაკუთრებით გაზეთებზე, სადაც მძიმე მდგომარეობაა ამ მხრივ და მოვითხოვთ მეტ ყურადღებას ვისგანაც ჯერ არს.

X.

ში წარმოდგენილი იქნება პირველად ამ სეზონში ნინო ჩხეიძის მონაწილეობით პერ დე-კურსელის პიესა „ორი ჯიბგირი".

— „ცხვრის წყარო" მეხუთეთ. კვირას, 17 დეკემბერს, რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება ლოპე დე-ვეგას პიესა „ცხვრის წყარო", მეხუთეთ, თარგმანი კ. მაყაშვილის. პიესა წავა კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით.

დღეს თეატრებში.

— სახელმწიფო ოპერა — „პიკის ქალი" მონაწილეობს დასის შემადგენლობის საუკეთესო ძალები. რუსთაველის თეატრი—თურქული წარმოდგენა. სახალხო სახლი—ქართული წარმოდგენა სუმბათაშვილი-იუჟინის საპატივცემლოდ, წარმოდგენილი იქნება გედევანიშვილის პიესა—„მსხვერპლი" და დავით კლდიაშვილის პიესა—„დარისპანის გასაჭირი". ახალი თეატრი—სიყვარული—ოქროს წიგნია. მუშათა ცენტრალური კლუბი—ლილიპუტების გასტროლი. კინო მინიონი—გამარჯვებული სატანა. კინო არფასო—ტარზანის ქალი, მეორე სერია. კინო სოლეილი—იუმორისტ სმირნოვ-სოკოლსკის გასტროლი. კინო სარკე—შაიკები. კინო კამერნი—თილისმიანი სიყვარული. კინო-აპოლო—ეკატერინე მეორე. კინო ალკრე—შავი ოჯახი. ცირკი მრავალფეროვანი პროგრამა ფრანგული ჭიდაობით.

წითელი ჯარი

ქართ. დივიზ. პოლიტ-განათლების მუშაობა.

გადატრიალების დღიდან საქართველოში მიღებული იყო ყოველგვარი ზომები ქართულ წითელ ჯარის შესაქმნელად.

პარტამხანაგების მობილიზაციამ, ჩვენი წითელი ლაშქრის შესაქმნელად გამოაცოცხლა ქართ. წითელ-არმიელთა რიგები.

მენშევიკების დროს სწავლა ჯარის კაცისათვის იყო სხვათა შორის. თუ ისწავლიდა თვით ჯარის კაცი, ხომ კარგი და თუ არა ეს არაფერს დააკლებდა მათ. მენშევიკები დაინტერესებული იყვნენ ურთიერთ შორის გადაეკიდებია მეზობელი ხალხები. დღეს საბჭოთა მთავრობა იმაში კი არ არის დაინტერესებული, რომ ერთი ტომი დაეჯახოს მეორეს და დაღვაროს ძმათა სისხლი, არამედ ის დაინტერესებულია შექმნას მშრომელთა ძლიერი და სრულიად მომზადებული არმია, რომელიც მოიმართავს თავის მახვილს თავისი კლასიური მტრების წინააღმდეგ. ამ მიმართულებით ქართ. დივიზ. პოლიტგანათლებამ ბევრი რამის გაკეთება შესძლო. დღეს არ არსებობს თითქმის არც ერთი ნაწილი ჩვენს წითელ ჯარში, სადაც არ იყოს წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლები. ასეთი სპეციალური სკოლები ბევრ ალაგას არის უკვე მეორე საფეხურის, სადაც წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ ასწავლიან უფრო ფართე ყველა საგნებს.

თანახმად ამხ. ტროცკის ბრძანებისა, პირველ თებერვლამდე უნდა მოისპოს წითელ არმიაში წერა-კითხვის უცოდინარობა. უნდა ითქვას, რომ ჩვენს წითელ არმიაში ეს დღესაც განხორციელებულია.

წითელ-არმიელები აღტაცებით ეგებებიან სწავლის საქმეს და სიხარულით ამბობენ: „სამხედრო სამსახურში წაგვიყვანეს ჯვგონა და სკოლაში კი წამოუყვანივართო"!

გარდა იმისა ჩვენს წითელ ჯარში ტარდება ყოველ დღიურათ ე. წ. პოლიტსაათი, ანუ ერთი საათის მაცადინეობა პოლიტიკურ საკითხებში პოლიტ. ხელმძღვანელის საშუალებით.

პოლიტიკური განათლების აგიტპროპ. ნაწილი იმუშავებს ყოველთვიურ მეცადინეობის პროგრამას განათლების დარგში და აგზავნის ნაწილებში, რომლის საშუალებით ტარდება მთელი თვის მუშაობა.

აგრეთვე ამ პროგრამაში შეტანილ საკითხების გასაშუქებლად იგზავნება შესაფერი თეზისები.

ამ გვარათ ჩვენი წითელ-არმიელი ჯარში იძენს არა მარტო სამხედრო ცოდნას, არამედ ის აგრეთვე ღებულობს პოლიტიკურ განათლებას, ურომლისოთ ის არ გამოდგება, როგორც მუშათა და გლეხთა ინტერესების დამცველი.

შრომის მნიშვნელობის გაცნობა, ცოდნის აუცილებელი გაფართოება და ბრძოლა მსოფლიო მუშათა კლასის ინტერესებისათვის—აი რა უნდა შეიგნოს და შეითვისოს ჩვენმა წითელმა არმიამ.

ეს მიზანი რამოდენიმეთ უკვე მიღწეულია. ეს სხვათა შორის დაგვიმტკიცა ჩვენ ჩოლოყაშვილის კონტრრევოლიუციონერების საწინააღმდეგო, ჩვენი წითელ არმიელების ბრძოლამ, როდესაც თავგამოდებით ეკვეთნენ მტერს და რამდენიმე დღის განმავლობაში ბოლო მოუღეს მას.

ასე იმოქმედებს მომავალშიც ყველა განვითცნობიერებული წითელი არმიელი.

ი. ხომერიკი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **იაჩეიკების ყველა მდივნებს და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტის თავმჯდომარეებს.** ქალთა განყოფილების არა ერთი ცდა ოჯახის დიასახლისების ორგანიზაციის საქმეში, უშედეგოთ დამთავრდა, ვინაიდან ამ კრებებზე ესწრებოდენ ან სპეკულიანტების ცოლები, ან ქურთები რომელთანაც არც ერთი ენაზე არ შეიძლებოდა ლაპარაკი. რაიკომმა თავის წარსულ სხდომაზე დაადგინა პირველ რიგში დარაზმოს კომუნისტების მუშების ცოლები, დები და დედები, რომელნიც არ არიან ჩაბმული წარმოებაში და ეწევიან მეოჯახეობას.

პირველი საორგანიზაციო კრება გაიმართება შაბათს საღამოს 5 საათზე რაიკომის ბინაზე.

დღის წესრიგი შემდეგია: 1) ქალთა განყოფილების ამოცანები, 2) ქალი წარსულში, აწმყოში და მომავალში.

ვინაიდან ოჯახის დიასახლისები წარმოადგინენ დაქსაქსულ შეუკავშირებელ მასას, რაიკომს არ აქვს შესაძლებლობა აღრიცხოს ისინი და აცნობოს მათ კრებების შესახებ. ამ მხრივ საჭიროა იაჩეიკების და ფაბრიკა ქარხნების თავმჯდომარეთა დახმარება, რომელთაც ევალებით წინადადება მისცენ პარტიის წევრთ და მუშებს გამოგზავნონ ამ კრებაზე ოჯახის დიასახლისები—თავიანთი დედები და ცოლები.

2 რაიკომის მდივანის მაგ.

ნაზაროვი.

ქალთა განყოფილების გამგე—

დიოზნიანსკაია.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი დედა—მარგარიტა; მეუღლე—ალექსანდრა სიმონის ასული; შვილები—კლარა და გოგი ხოჭოლავები; და—ვერა მაქსიმეს ასული; სიძე—კაკო კეშელავა; დეიდაშვილი—დავით და ვლადიმერ ბიჭიას-ძე და ფუცუ ფუტკარიები; ივანე კაჭარავა შვილებით—გიორგი, მარგარიტა, ანასტასია, ვასილი და ციფა; ლიზა და ალექსანდრე ჩიჩუები; პროკოფი, ფაჩუ და მიშა თვალთვაძეები—აუწყებენ საზოგადოებას, რომ 13 დეკემბერს საღამოს 4-ს საათზე გარდაიცვალა საქართ. ყოფილი დამფუძნებელი კრების წევრი

მუხრან ხოჭოლავა

რომლის გამოსვენება მოხდება კვირას, 17 დეკემბერს დილის 12 საათზე ყორღანოვის ქუჩიდან სახ. № 16. 3—1

რუსთაველის თეატრი

შაბათს, 16 დეკემბერს

ორი ჯიბგირი

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

(კრ. 717—3—2)

სახელმ. აკადემ. თეატრი ოპერა.

კასსა ღიაა 11—3 ს. და საღამ. 6 წარმოდგენის დამთავრებამდე

დღეს, 15 დეკემბერს

პიკის ქალი

დასაწყისი სრულ 8 საათზე

მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.

(კრ. 716—1—1)

ორშაბათს, 18 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე ცეკავშირის(?) დარბაზში

დანიშნულია

კომუნალური განყოფილების, შინაგან მმართველობის მ. და გ. ინ. განყოფილებათა სექციების

სხდომა.

ვთხოვთ ყველა ამხანაგებს დაესწრონ თავის დროზე.

(კრ. 725—3—1) მდივანი: **ხუნდაძე.**

მიწად-მოქმედების კომისარიატის მიწის მომწყობი და საძოვარი ადგილების განყოფილება

ამით აუწყებს მეთევზეებს და სხვა დაინტერესებულ პირებს, რომ 29 დეკემბერს, ხუთშაბათს დილის 12 საათზე განყოფილების ბინაზე (სასამართლოს ქ., № 32)

გაიმართება

საჯარო ვაჭრობა

მომავალ 1923 წლისათვის თევზის ჭერის უფლების მიღებაზე შემდეგ მდინარეებში: მტკვარში, ხრამში, დებედა-ჩაიში, მაშავერში, არაგვში და ყარაიაზის ტბაში.

ვისაც სურთ ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღონ, მათ უნდა შემოიტანონ განცხადება 5,000 მ. სალერბო გადასახადის გადახდით და წარმოადგინონ საწინდრად გამოცხადებული ფასის მეოთხედი. დაწვრილებით თევზის საჭერ ზემოაღნიშნულ ადგილების გაცემის პირობების გაგება შეიძლება განყოფილებაში საქმიან დღეებში 12 საათიდან 3 საათამდე.

2—1

პარასკევს, 5 იანვარს 1923 წ. 12 საათ. დილით

ტფილისში საზოგადოება „მრეწველის" ბინაში (გრიბოედოვის ქ., № 3) საქართველოს ს. ს. რ. ფინანსთა კომის. ნებადართვით არის დანიშნული

არაჩვეულებრივი კრება

აქციონერთა ქუთ. სავაჭ.-სამრეწ. სააქციო საზ. „მრეწველის".

კრებაზე გახარჩევია შემდეგი კითხვები:

1. მოხსენებები საზოგადოების მოქმედების შესახებ და ანგარიშები
2. სააქციო კაპიტალის შეცვლა.
3. მიმდინარე საქმეები და კითხვები.
4. არჩევა გამგეობის, საბჭოსი და სარევიზიო კომისიის.

კრებაზე ხმის უფლებით სარგებლობა შეიძლება თანახმათ საზოგადოების წესდების 49 §-სა, ამიტომ აქციონერი, რომელსაც სურს კრებაში მონაწილეობა მიიღოს, ვალდებულია თავისი დროებითი მოწმობა წარმოადგინოს არა უგვიანეს 29 ამა დეკემბრისა ყრილობის ადრესით (გრიბოედოვის ქ., № 3) დროებითი მოწმობებზე უნდა ქონდეს მოწერილი ხელი თანახმად § 15 საზ. წესდებისა გამგეობის თავმჯდომარეს, გამგეობის ორს წევრს და ბუღალტერს.

შენიშვნა: თანახმად § 17 საზ. წესდ. დროებ. მოწმობა, რომლის სრული ღირებულება ვადაზე გადახდილი არაა, არ მიიღება და მისი სხვაზე გადაცემაც უკანონო და უმნიშვნელოა.

3—1 გამგეობის თავმჯდომარე **დ. თოფურიძე.**

საქართველოს საბჭოთა [illegible] პრესის ცენტრალურ კანტორისაგან

(გაზეთის ტრესტი)

ყველა დაწესებულებებს და იმ პირთ, რომელთაც არ გადაუხდიათ განცხადებების და ხელის მოწერის მათზე დარჩენილი ვალი, კანტორა სთხოვს

შეიტანონ გაზეთების ცენტრალურ კანტორის კასაში (რუსთაველის, 24) მთელი გადასახდელი თანხა

არა უგვიანეს 20 დეკემბრისა.

წინააღმდეგ შემთხვევაში კანტორა იძულებული იქნება შესწყვიტოს გაზეთების გზავნა და ნისიად განცხადებების ბეჭდვა და ანგარიშების გასწორება გადაიტანოს ოქროს ვალიუტაზე იმ დღის კურსის მიხედვით, როდესაც დებიტორებს ანგარიშები წარედგინება. (3—1)

საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სამმართველო აცხადებს

შეჯიბრებას ბათომის ნავთსადგურში რკინის ნავთსადგომის კაპიტალურ რემონტის სამუშაოს იჯარით გასაცემად. განცხადებები უნდა იქნას შემოტანილი დახურულ კონვერტებში.

(ეს ნავთსადგომი, წინად ეკუთვნოდა რუსეთის სატრანსპორტო საზოგადოებას).

რემონტი ჯდება 43.787 მანეთი და 43 კაპ. ოქროთი

შეჯიბრებაში მოწვეულნი არიან მწარმოებელნი, რომელთაც ჰიდრო-ტეხნიკურ მუშაობის წარმოებაში აქვთ საკმაო გამოცდილება, რის შესახებაც იმ პირებმა, რომელთაც სურთ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება უნდა წარუდგინონ საზღვაო ტრანსპორტის უფროსს სათანადო ცნობები არა უგვიანეს 22 დეკემბრისა.

ფასების რაოდენობა უნდა წარედგინოს საქართველოს „მორტრანს", დახურულ კონვერტებში შემდეგი ზედწარწერით: **შეჯიბრებისათვის ბათომის ნავთსადგურში რკინის ნავთსადგომის სარემონტო მუშაობის იჯარით აღებაზე.** (ამა და ამ პირისაგან) 23 დეკემბერს დღის 12 საათისათვის.

ამავე ვადაზე, ამ განცხადებათა გარდა „მორტრანის" კასაში უნდა იქნას შეტანილი წინასწარი საწინდარი **50 მილიონი მანეთი ქართული ბონებით** ან სათანადო თანხა ვალიუტის კურსის მიხედვით.

იჯარის აღების შემდეგ, კონტრაგენტმა 10 დღის განმავლობაში უნდა გაადიდოს საწინდარი 4.350 მანეთამდე ოქროთი. ფულის საწინდრის ნაცვლად შეიძლება წარდგენილ იქნას ოფიციალური დოკუმენტები რესპუბლიკის საზღვრებში აღნიშნულ სადირალის უძრავი ქონების მფლობელობის შესახებ.

შეჯიბრების შესახებ საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქ. ტფილისში საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოში (ლორის-მელიქოვის ქ. № 5) სადაც შეიძლება აგრეთვე განცხადებათა ბლანკების უწყებების მიღება და მუშაობის და კონტრაქტის პროექტის გაცნობაც.

(კრ. 724—3—1)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის სამკურნალო

სწორლი ოთახებით

დაარსებული

მიხეილ გედევანიშვილის მიერ

განაგრძობს ავადმყოფების მიღებას.

თბილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.

304—25—24)

დოკტორი **გ. მეგრაბიანცი**

„უ. ასისტენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა"

შინაგანი და ვენერიული ავათმყოფობისა. რენტ-გენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეთი.

იღებს 9—12 ს. დღის და 5—7 ს. საღ.

ბებუთოვის ქუჩა № 23. 634 25—6

გარე-უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულის გიორგი გიორგის ძე კოზოლის (იგივე კოზოლიშვილის) გამოაცხადონ თავიანთი უფლება ორი თვის განმავლობაში აღნიშნულ კოზოლის ქონებაზე.

(654—1—1) სახალხო მოსამართლე (ხელს აწერს).

დაიკარგა საარიცხვო მოწმობა ლევან ალექსანდრეს ძის ქსანაშვილის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად.

(656—1—1)

დაიკარგა პირადობის მოწმობა სოფ. წეროს (რაჭის მაზრა) კომისარის მიერ მოცემული, ჩაითვალოს გაუქმებულად.

(649—2—2)

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.

ტირაჟი 10,000 ნ. ს. დ. დ.